603 ლ 16252

პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№ 152 (12 831) 1 ივლისი ოთხშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

# სტადიონები საქნების შემდეგ?

სახელმწიფო პროგრამა ცოცხლდება

>> გვერდი 2

# კაკას პრეზენტაცია: ვივა, მადრიდ!



კაკა და ფლორენტინო პერესი წარდგენაზე

გუშინ „სანტიაგო ბერნაბეუზე" მისული 50 ათასი ფანი **კაკას** სახელს სკანდირებდა. 27 წლის ბრაზილიელმა სუპერვარსკვლავმა, რომელიც „რეალმა" „მილანისგან" 92 მილიონ დოლარად იყიდა, წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება, ექვსწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და მადრიდს წარუდგა.

**დი სტეფანო, ხუანიტო, რაული, ზიდანი...** ამ ტიტანთა ვეება ფოტოებისა და ურიცხვი ჯილდოების ფონზე კაკამ შეძახა - ვივა, მადრიდ! აი, ასე, მოკლედ, რადგან როგორც თავად თქვა, ახლა ყველაზე მეტად სწორედ სიტყვების მოძიება უჭირს.

ახალი კლუბი, ახალი სამყარო... მით უმეტეს, თუ ეს კლუბი გრანდია და თან - „რეალის" დარი გრანდი. **ფლორენტინო პერესმა** ერთხელ უკვე შექმნა „გალაქტიკო", მაგრამ ის სერიოზული ქარტეხილების პერიოდი იყო, სამეფო კლუბი პირსახოცებივით იცვლიდა მწვრთნელებს...

თითქოს, იმ წლებიდან პერესს გარკვეული დასკვნები უნდა გაეკეთებინა, თუმცა დიდი მოთამაშეებისადმი უდრეკი ლტოლვა მისი ცხოვრებისეული კრედოა. „რეალში" მისი ტრიუმფალური დაბრუნება ერთბაშად ორი მეგავარსკვლავის შეძენით აღინიშნა - სადაცაა „სანტიაგო ბერნაბეუზე" **კრისტიანო რონალდოს** პრეზენტაცია უნდა გაიმართოს...

# რამდენ წრედ ჩატარდება მომავალი ჩემპიონატი?

უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობას ფედერაციის აღმასკომი დაადგენს

>> გვერდი 2

# ფაჩულია სან ანტონიოს სამიზნეში




>> გვერდი 12 ლეგიონერი




# კარგად დაიწყო...

>> გვერდი 11 ჭიდაობა. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი



# უმაღლესი ლიგა სამ თუ ოთხ წრედ?

უახლოეს დღეებში ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართება და გადაწყდება, რამდენი გუნდი და რამდენ წრედ ჩაატარებს 21-ე ეროვნულ ჩემპიონატს. ამის თაობაზე პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჭულაძემ** გვითხრა.

*„ჯერ ზუსტად არ ვიცით აღმასკომის გამართვის თარიღი, თუმცა ამ კვირის ბოლომდე აუცილებლად ჩატარდება და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მიიღებს, უმაღლესი ლიგის მონაწილეთა რაოდენობისა და ფორმატის შესახებ“.*

ჯერ კიდევ უცნობია, რომელი კლუბები ითამაშებენ სამომავლო უმაღლეს ლიგაში. თუმცა, ეს ოფიციალურად, არაოფიციალურად კი ყველამ უწყის, რომ სპორტული პრინციპით უმაღლესში თამაშის უფლების მქონე თბილისის „ამერი“ და ახალციხის „მესხეთი“ ფინანსური პრობლემების გამო „ელიტაში“ ვერ ითამაშებენ, მათ ნაცვლად ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება ექნებათ „გაგრასა“ და ცხინვალის „სპარტაკს“, რომლებიც... პირველ ლიგაში გავარდნენ. სამტრედიაში ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტის წევრები იმყოფებოდნენ და მათ დასკვნა-გადაწყვეტილებაზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. თუმცა „სამტრედიას“ პრობლემა არ უნდა შეექმნას.

წესითა და რიგით, მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში ათმა კლუბმა უნდა ითამაშოს. ეს თითქოს გარკვეულია, მაგრამ უცნობია, რა ფორმატით გაიმართება ჩემპიონატი. წინასწარი ინფორმაციით, პროფესიული ფეხბურთის ლიგაში ორი ვარიანტი განიხილება - 10 გუნდი სამ ან ოთხ წრედ ითამაშებს. გადაწყვეტილებას ლიგის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე მიიღებენ. წინა ჩემპიონატი 11-მა გუნდმა სამ წრედ ჩაატარა, რასაც 33 ტური დასჭირდა. 10 გუნდი ოთხ წრედ რომ შეეჯიბროს ერთმანეთს, უკვე 36 ტური იქნება საჭირო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთის ფედერაციას მატჩების დირექტორებისა და დელეგატებისთვის მეტი ხარჯი ექნება გასაწევი. მეორე ვარიანტია 10-გუნდიანი პირველობა სამ წრედ, ანუ 27 ტური, რაც სერიოზული შეღავათია.

*„სწორედ ეს ორივე ვარიანტი განიხილება, მაგრამ რომ ვთქვა, რომელიმე მათგანი გადაწყვეტილია-მეთქი, არასერიოზული განცხადება გამომივა. მეტიც - შესაძლოა, აღმასკომმა სულ სხვა ვარიანტი დაამტკიცოს. სხვათა შორის, ჩვენი სურვილია, პირველი ლიგის გათამაშებაც უმაღლესის იდენტური სისტემით გაიმართოს. თუმცა ესეც გუნდების ფინანსურ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული და არა ჩვენს სურვილზე. ამ საკითხსაც აღმასკომი გადაწყვეტს და იმასაც, რამდენი გუნდი რა ფორმატით ითამაშებს უმაღლეს ლიგაში“*, - ამბობს ბურჭულაძე.

დაბოლოს - 16 ივლისს, პროფესიული ფეხბურთის ლიგის ტრადიციული საანგარიშო კონფერენცია გაიმართება. დელეგატი ეყოლება ლიგის ყველა სუბიექტსა და ასოცირებულ წევრს. ბურჭულაძის თქმით, კონფერენციას „ვიტ ჯორჯიას“ წარმომადგენელიც უნდა დაესწროს, რადგან კლუბმა პროფლიგის გამგეობა კი დატოვა, მაგრამ ლიგის წევრობაზე უარი არ უთქვამს...

**მერაბ მამულაშვილი**

## სახელმწიფო პროგრამა ცოცხლდება

# სტადიონები საქნების შემდეგ?

**რომ არ მივკიბ-მოვკიბოთ, პირდაპირ გეტყვით - გიორგი გაბაშვილმა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა დაიბარა და ყველასთვის სასიამოვნო დაპირება მისცა - საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამა არ მომკვდარა და მალე ამ პროგრამის ძირითად მიმართულებაზე მუშაობა დაიწყებაო...**





ეს კულუარული ინფორმაცია გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ ასეთი შეხვედრა მართლაც გამართულა, ისიც ნაღდი ამბავი გამოდგა, რომ სწორედაც ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე ყოფილა ლაპარაკი და ისიც დასტურდება, რომ... მაგრამ არა - ალბათ, სჯობს, აპრობირებულ სიბრძნეს თუ პრინციპს დავუჯეროთ - ჯერ გადავხტეთ და „ჰოპლა“ მერე დავიძახოთ.

ეს შეხვედრა რამდენიმე დღის წინათ გაიმართა და თუნდაც ეს გვაიმედებს, რომ ფეხბურთის განვითარების პროგრამა მასშტაბურად ამუშავდება. მიტინგების ტალღამ გადაიარა, ხელისუფლება უცვლელი დარჩა და ახლა ახალი, ოღონდაც, ნაღდი საქმეები სჭირდება, რათა თავმომწონე იყოს.

ამ პროგრამის ძირითადი ნაწილი ინფრასტრუქტურის შექმნას ითვალისწინებს, თავად ინფრასტრუქტურაში კი სტადიონების რეკონსტრუქცია-მშენებლობა იგულისხმება. ერთი სიტყვით, გაბაშვილმა სწორედ ამაზე ჩამოაგდო სიტყვა - ჩათვალეთ, რომ სტადიონების თემა გაცოცხლებულიაო. ასეთია ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია.

გაბაშვილი ხელისუფლებაში ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა. ესეც რომ არა, ალბათ, გახსოვთ, რომ სწორედ გაბაშვილთან დაპირისპირებას მოჰყვა ის, რომ ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია** ჯერ თანამდებობას ჩამოშორდა, მერე კი საერთოდ განერიდა ქართულ საფეხბურთო სამყაროს...

გაბაშვილი მნიშვნელოვანი პერსონა იყო მაშინაც, როცა ხელისუფლებას ჟორდანიას შემცვლელი უნდა აერჩია. არც ის გვგონია, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ბოლო, ალბათ, ყველაზე სკანდალურ არჩევნებშიც უმნიშვნელო ყოფილიყოს გაბაშვილის როლი. ერთი სიტყვით, ის საკმაოდ სოლიდური პერსონაა და ტყუილუბრალოდ არ გაირჯებოდა ფედერაციის დიდმოხელეებთან საუბრისას.

ეს შეხვედრა თითქოს იმედის ნაპერწკალია, ყინულის დაძვრაა - სახელმწიფოს დახმარების გარეშე ქართულ ფეხბურთს საშველი არ უჩანს და ამიტომ ყველაფერი ლოგიკაში ჯდება - პოლიტიკური დუღილის ტემპერატურამ მნიშვნელოვნად იკლო, ფეხბურთი კი ამ სიტუაციაში ის მარგალიტია, კარგი იუველირი მოხდენილად რომ ჩასვამს ვერცხლის ბუდეში.

ფოთი, ბათუმი, ქუთაისი... სტადიონების რეკონსტრუქცია თუ აშენება იმ ქალაქებიდან უნდა დაიწყოს, რომელთაც სხვაზე მდიდარი საფეხბურთო ტრადიცია აქვთ. სავარაუდოდ, ფეხბურთის ფედერაცია მოახერხებს, რომ ხელისუფლება ამაში დაარწმუნოს. მანამდე კი სახელმწიფომ ფული უნდა დადოს, თუნდაც იმიტომ, რომ სპორტი ძალიან დიდი სფეროა - მასობრივი და პროფესიული სპორტი, ჯანსაღი თაობის აღზრდა, საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა...

კონკრეტულად როდის დაიწყება სტადიონების მშენებლობა? - წესით, ამ კითხვაზე ძალიან მალე უნდა მივიღოთ ოფიციალური განმარტებანი. ვფიქრობთ, გაბაშვილთან შეხვედრა ამის საშუალებას იძლევა...

**დავით თავართქილაძე**

## ინტერვიუ

### შოთა არველაძე

# რას ჰქვია, არ ჩამოხვალ?! ეს საქართველოს ნაკრებია!..



## არველაძე: საინტერესოა, უნდა კუპერს მომდევნო ციკლში მუშაობის გაგრძელება?

**ჰოლანდიის ჩემპიონმა „ალკმაარმა“ ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. შესაბამისად, შოთა არველაძე ამჯერად უკვე რონალდ კუმანის ასისტენტის რანგში შეუდგა საქმეს. ჩვენც სწორედ ამ და სხვა თემებზე სასაუბროდ დავუკავშირდით ალკმაარელთა ერთ-ერთ მწვრთნელს და ვფიქრობთ, საინტერესო ინტერვიუც გამოგვივიდა...**

**- „ალკმაარი“ ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. როგორ მიდის პროცესი ახალ მთავარ მწვრთნელთან ერთად?**

- დიახ, მზადება უკვე დაიწყო და პირველივე საკონტროლო მატჩში მოყვარულები 8:1 დავამარცხეთ. ნელ-ნელა დატვირთვებს გავუზრდით ფეხბურთელებს და მომავალში გაცილებით ძლიერ სპარინგპარტნიორებთან გვექნება თამაშები. თავად განსაჯეთ - „ჰამბურგთან“, „ბაიერნთან“, „ბრიუგესა“ და სხვა ცნობილი გუნდების წინააღმდეგ ვითამაშებთ.

**- „ალკმაარში“ ახლა უკვე რონალდ კუმანის ასისტენტი ხართ. რა სხვაობაა თქვენს ამჟამინდელ და წინა ფუნქციებს შორის?**

- ახლა უკვე მწვრთნელთა საბჭოშიც ვარ და ისეთი საკითხების გადაწყვეტაში ვმონაწილეობ, როგორიცაა ტრანსფერები, მთავარი მწვრთნელისთვის ინფორმაციის მიწოდება ამა თუ იმ გუნდზე ან ფეხბურთელზე, სკაუტების საკითხი და რა ვიცი, კიდევ ბევრი სხვა...

**- ფუნქციის გაზრდა სამუშაოს მომატებას ნიშნავს. ხომ არ გიჭირთ?**

- საქმე ახლა მეტი მაქვს, მაგრამ ხალისითა და მონდომებით ვაკეთებ და არ მიჭირს. ბოლოს და ბოლოს, ჩემს საყვარელ საქმეს, ფეხბურთს ვემახურები. რა საქმეც გიყვარს, მისი კეთება ყოველთვის სიამოვნებას განიჭებს. ამ მხრივ, არც მე ვარ გამონაკლისი.

**- საინტერესოა, მწვრთნელთა საბჭო რა ინტენსივობით იკრიბება?**

- საჭიროების მიხედვით. როცა ეს აუცილებელია, ვიკრიბებით, ვმსჯელობთ... ვწყვეტთ ამა თუ იმ საკითხს...

**- გამოდის, რომ რონალდ კუმანის თანაშემწის რანგში თავს ჯერჯერობით ჩინებულად გრძნობთ...**

- კი, კი, ეგრეა... მშვენიერი ატმოსფეროა.

**- ამბობენ, შესაძლოა, „ალკმაარში“ ზურაბ ხიზანიშვილი ვიხილოთო. რამდენად რეალურია ეს?**

- ზურას მხარდამხარ კარგახანს ვითამაშე და მისი დონის ფეხბურთელი ჩვენს გუნდსაც ნამდვილად დაამშვენებდა. თუმცა გულახდილად გეტყვით - ახლა, ამ მომენტში, მსგავსი ტრანსფერის ვარიანტი ნამდვილად არ განიხილება... ფინანსები არ გვაძლევს ამის საშუალებას.

» მე-5 გვერდზე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ახალი ასპარეზი



# მურთაზ შელია

# ჩემი ხასიათი რომ ვიცი, ღამე არ დამეძინება...

**მურთაზ შელია საფეხბურთო ჩინოსნად პირველად დანიშნეს - ორიოდე დღეა, რაც საქართველოს ნაკრების, თბილისის „დინამოს“, „ალანიასა“ და „მანჩესტერ სიტის“ ყოფილი მცველი ცხინვალის „სპარტაკის“ ვიცე-პრეზიდენტი გახდა. ეს ინტერვიუც სწორედ ამ თემას ეხება...**

- კარგად გამიგეთ, ფულის პრობლემა არ მაქვს. დიმიტრი სანაკოევის წინადადება იმიტომაც გამიხარდა, რომ ფეხბურთი მიყვარს და ამ სფეროში მუშაობა მიხარია. მეორეც, სანაკოევი საქართველოსა და ფეხბურთზე გადაგებული კაცია და მისი მხრიდან ნდობა ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ასეთ ადამიანს გვერდში უნდა დავუდგე და ახლა მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობ - საქმე კარგად უნდა გავაკეთო. ცხინვალის „სპარტაკი“ უნდა ჩამოყალიბდეს სოლიდურ, ბრძოლისუნარიან და ერთ-ერთ წამყვან კლუბად. მე სახელს ვუფრთხილდები და ვეცდები, ნდობა გავამართლო.

**- რაკი ვიცეპრეზიდენტობა შემოგთავაზეს, გამოდის, დიმიტრი სანაკოევი კარგად გიცნობდათ...**

- დიდი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ. ის ყოველთვის მენდობოდა. სიმართლე გითხრათ, მისმა შეთავაზებამ ძალზე დამაინტრიგა. საერთოდ, ჟინიანი კაცი ვარ და ყველა საქმის ბოლომდე და კარგად გაკეთება მსურს. ეს ჟინი მქონდა თამაშის დროს და ახლაც იგივე გრძნობა გამიჩნდა - „სპარტაკი“ ლიდერებში უნდა გავრიოთ.

**- კონკრეტულად, რა პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ?**

- სანაკოევმა გუნდი მთლიანად მე გადმომაბარა. ამიტომაც გადავწყვიტე სამწვრთნელო შტაბის მთლიანად შეცვლა. საქმე ისე უნდა გავაკეთო, როგორც მე წარმომიდგენია. მთავარ მწვრთნელად ვლადიმერ ხაჩიძე დავნიშნე, კაცი, რომელიც ფაქტობრივად არაფრისგან გუნდს ქმნის - სადაც იმუშავა, ყველგან შედეგი ჰქონდა. კარგად მახსოვს მისი „ვიტ ჯორჯია“ და „ბორჯომი“, რომლებიც ყველასთვის ანგარიშგასაწევი გუნდები გახდნენ, „ბორჯომი“ ლამის სამეულში შეიყვანა... „გაგრა“ გამონაკლისია, მაგრამ ეს მაინც სხვა თემაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უკრაინაში პროლიცენზიას ტყუილად ხომ არ არიგებენ? ვოვა წესიერი და მცოდნე კაცია, სელექცია მთლიანად გადავაბარე და მის საქმეში ჩარევას არ ვაპირებ - თავად უკეთ იცის, გუნდი როგორ დააკომპლექტოს.

**- გასულ წელს „სპარტაკს“ უმაღლესლიგელებში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბიუჯეტი ჰქონდა. ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური კრიზისის ფონზე, კლუბის დაფინანსება არ შემცირებულა?**

- რა თქმა უნდა, ცარიელ ადგილზე არ მივსულვარ. საკმაოდ კარგი პირობები გვაქვს და ხუთეულში მოსახვედრად უნდა ვიბრძოლოთ.

**- როგორც შევიტყვეთ, გუნდის შემადგენლობაში საკმაოდ დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი...**

- ფაქტობრივად, ახალ გუნდს ვაყალიბებთ. ორიოდე დღეში შევხვდები მწვრთნელთა საბჭოს და გადაწყდება, ვის დავიმატებთ.

**- „სპარტაკში“ დანიშვნა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდული ნაკრებიდან მოდიხართ?**

- იქაც ვიმუშავებ და გარწმუნებთ, ამით ნაკრების საქმე არ გაფუჭდება. ჩემთვის „სპარტაკსა“ და ნაკრებში მუშაობა სიამოვნებაა და არა - ფულის შოვნის გზა. ოთარ გაბელიამ მითხრა, გვჭირდები, უნდა დარჩეო. გაბელია ავტორიტეტია და უარს როგორ ვეტყოდი? ბოლოს და ბოლოს, კლუბში მუშაობა თამაშებზე სისტემატურ დასწრებას ნიშნავს, ნაკრებისთვის კანდიდატებს დავაკვირდები და გაბელიას ყოველ ტურში საჭირო ინფორმაციას მივაწვდი.

**- ფეხბურთში და, მით უფრო, საქართველოში, მთავარი შედეგია, მაგრამ როგორი ფეხბურთი გსურთ „სპარტაკისგან“?**

- არ ვიცი, საბოლოოდ რა გამოვა, მაგრამ მეც, მთავარ მწვრთნელსაც და მთელ ჩემს გუნდსაც გვსურს, რომ „სპარტაკმა“ ლამაზი, შემტევი ფეხბურთი ითამაშოს და არა - მხოლოდ შედეგსა და ტაბლოზე გათვლილი სქემებით. ჩემი ხასიათი რომ ვიცი, გუნდი გუნდს თუ არ დაემსგავსა, არ დამეძინება.

**- საქართველოში ყველა გუნდს ჰყავს გულშემატკივარი - ზოგს ბევრი, ზოგსაც ნაკლები, მაგრამ ცხინვალის „სპარტაკის“ საშინაო მატჩებზე ტრიბუნა ყოველთვის ცარიელია. არადა, გორის შემოგარენი ცხინვალის რეგიონის ლტოლვილებითაა სავსე...**

- გუნდი აუტსაიდერებს შორის იყო და ვინ ივლიდა თამაშებზე? როცა წარმატებებს მივაღწევთ, გულშემატკივარიც შემოგვეჩვევა. საერთოდ, ამაზე გუნდის მენეჯმენტმაც უნდა იზრუნოს. მჯერა კიდეც, რომ „სპარტაკი“ შინიდან უბრძოლველად ქულასაც არავის გაატანს.

**მერაბ მამულაშვილი**

## სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება, მატჩები |
|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია<br>რამაზ მუმლაძე | კვალინიძე (?) | **კახელიშვილი** (ლოკომოტივი) | 10 ივნისიდან, თბილისში<br>**სიმურგი 3:3**<br>24 ივნისიდან უკრაინაში<br>**კრივბასი 0:0** |
| დინამო<br>კახა კაჭარავა | **ოვონო** (ლემანი, საფრანგეთი), გველესიანი (?), **ტომიჩი** (?), სპასოევიჩი (არმინია, გერმანია) | **სომხიშვილი** (მგლები) | 8 ივნისიდან თბილისში,<br>28 ივნისიდან გერმანიაში<br>**ზელბიცი 3:1** |
| ოლიმპი<br>ვარლამ კილასონია | **გ. ონიანი** (ზესტაფონი), **დეკანოსიძე, გ. ნოდარის ძე ჭელიძე, ქუცურუა, ახალაია, სტურუა, აკუასაგა** | **ზ. ჭელიძე** (სიონი), **მიკუჩაძე** (სიონი, იჯარა დაუმთავრდა), **გ. ნუგზარის ძე ჭელიძე, შეყრილაძე** („ბორჯომი“), **ლომიძე** (ლოკომოტივი), **სირბილაძე** (სპარტაკი) | 10 ივნისიდან რუსთავში<br>**სიმურგი 2:1 სიმურგი 3:2, თბილისი 7:3, სიმურგი 0:0** |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | **კაკალაძე, კვესიეშვილი** (ორივე - სამტრედია), **ლ. მელქაძე, ბოიომო, ჩასემი** (ორივე სპარტაკი). | **აფციაური** (გაბალა, აზერბაიჯანი), **გ. ონიანი** (ოლიმპი), **დვალი** (დაჩია, მოლდოვა), **ელიავა** (სკონტო, ლატვია), **მეშველიანი** | 1 ივნისიდან ზესტაფონში,<br>12 ივნისიდან სლოვენიაში<br>**პოლონია 1:1** (შეწყდა),<br>**პოლონია 2:2,**<br>**მარიბორი 1:1,**<br>**გორიცა 0:0** |
| სიონი<br>ოთარ კორღალიძე | **ზ. ჭელიძე** (ოლიმპი), **მიკუჩაძე** (ოლიმპი, იჯარა დაუმთავრდა), **ალადაშვილი** (კარიერა დაასრულა), შენგელია, შავგულიძე, ჯ. მუჯირი, რ. გოცირიძე, კაკაშვილი, დავითაშვილი. | იმედაძე (ტორპედო)<br>ვ. ახალკაცი, დევიძე (ბორჯომი), ქურასბედიანი, ოქროპირიძე (ორივე - სპარტაკი) | 21 ივნისიდან - ბოლნისში |
| ლოკომოტივი<br>გელა სანაია | **ზამთარაძე, კიკნაძე** (მთავარი მწვრთნელები), **კახელიშვილი** (ვიტ ჯორჯია), **ლომიძე** (ოლიმპი), ჩირიკაშვილი (სპარტაკი), **გ. ლომაია** (ინტერი, აზერბაიჯანი), შ. კვანტალიანი (გაგრა), **დიაკვნიშვილი, კ. მახარაძე, ბარბაქაძე** | — | 22 ივნისიდან - თბილისში |
| გაგრა<br>ვიქტორ კაშჩეი | **კოზლენკო, ცხადაძე,** ლ. ნოზაძე | **პავლიაშვილი** (ბორჯომი), ბარბაქაძე, შ. კვანტალიანი (ორივე - ლოკომოტივი), ი. შალიკაშვილი, თ. შალიკაშვილი (ორივე - სამტრედია), ლ. დეკანოსიძე (ბატე, ბელარუსი), კ. სეფიაშვილი, ოდიშარია, ტორონჯაძე (ორივე - თბილისი), ნადირაშვილი, კრუპენინი, ბერბატი, ივანოვი (სამივე - უკრაინა) | 15 ივნისიდან თბილისში,<br>21 ივნისიდან ურეკში<br>**სამტრედია 1:0**<br>**სამტრედია 2:2** |
| სპარტაკი<br>ვლადიმერ ხაჩიძე | **გაბელაია** (მთავარი მწვრთნელი), **სირბილაძე** (ოლიმპი), ოქროპირიძე, ქურასბედიანი (ორივე - სიონი), შონია (უკრაინა), გ. იაშვილი, თურმანიძე, შ. ღონღაძე | **ხაჩიძე** (მთავარი მწვრთნელი), ჩირიკაშვილი (ლოკომოტივი), ბათიაშვილი (მესხეთი), **ბოიომო, ჩასემი** (ორივე - ზესტაფონი) | 20 ივნისიდან თბილისში |
| მგლები/ბაია<br>ბესიკ შეროზია | **სომხიშვილი** (დინამო), ბაკარანძე, ჯოჯუა (ორივე - სამტრედია), მალაჩავა, ჯიშკარიანი, ა. ბაჯელიძე, ხუხია, ჭითანავა, ჭკადუა, ჭედია, პ. დათუნაიშვილი | პაჭკორია, ზარქუა, კვეკვესკირი, სვირავა, ქვარცხავა, აფაქიძე, ჟვანია, ვართაგავა, გ. ქირია, ნ. შონია, სიხარულია, წურწუმია, დ. კუტალია, რაფავა (ყველა - ბაია), ხუციძე (ამერი), ჩისამბა ლუნგუ (ზამბია) | 15 ივნისიდან - ზუგდიდში,<br>1 ივლისიდან - ურეკში |
| სამტრედია<br>ვალერიან ჩხარტიშვილი | ი. შალიკაშვილი, თ. შალიკაშვილი (ორივე - გაგრა) | ჯოჯუა, ბაკარანძე (ორივე - მგლები), კვერენჩხილაძე (გურია), კაკალაძე, კვესიეშვილი (ორივე - ზესტაფონი), ჩომახიძე (მარტვილი), ხარძეიშვილი (ხობი), ლ. ვაშაკიძე (მესხეთი), ფირცხალავა (ზაკარპატიე, უკრაინა) ტყებუჩავა | 20 ივნისიდან სამტრედიაში<br>**გაგრა0:1**<br>**გაგრა2:2** |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით გამოყოფილია უკვე გადაწყვეტილი ტრანსფერები*

ლეგიონერი

# სტრაჩანი გოცირიძის ტიპის ფეხბურთელს ეძებდა...


ბექა გოცირიძე

უახლოეს ექვს თვეში **ბექა გოცირიძე** ვერც საქართველოს ნაკრებს დაეხმარება და ვერც დნეპროპეტროვსკის „დნიპროს". თუმცა უმძიმეს ავტოავარიაში გადარჩენილი ფეხბურთელისთვის ესეც დიდი შეღავათია. თავიდანვე, ექიმების ამოცანა ბექას გადარჩენა იყო, თორემ მაშინ ყველა შეგუებული იყო იმას, რომ ელენთაამოჭრილი დნიპროელი მოედანს ველარ დაუბრუნდებოდა...

ახლა ყველა ეჭვი გაფანტულია და მკურნალობის დასრულებას გოცირიძე იმედით ელის. *„რეაბილიტაციის პერიოდს სამ თვეში დავასრულებთ და მარწმუნებენ, რომ გარკვეული დროის შემდეგ მსუბუქ ვარჯიშს მაინც შევძლებ. თუმცა ვიცი, რომ საჩქარო არაფერია და ეს მეც არ მსურს. მადლიერი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც ამ მძიმე დროს დამიკავშირდა და გამამხნევა - უბრალო გულშემატკივრით დაწყებული, ფეხბურთელებითა და ფედერაციის ხელმძღვანელებით დამთავრებული. „დნიპროდან" შინ კლუბის გენერალური მენეჯერი ანდრეი სტოცენკო დაგვიკავშირდა და მშობლებს ელაპარაკა. მისმა სიტყვებმა ჩემზე განსაკუთრებით იმოქმედა - თამაში რომც აეკრძალათ, ბექას გვერდში მაინც დავუდგებოდითო. სტოცენკოს საქართველოს ნაკრების ექიმი დიმიტრი ზალიშვილიც ელაპარაკა, ბექა ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ იქნებაო, უთქვამს. მოკლედ, მზრუნველობას ვგრძნობ, მაგრამ ფეხბურთი, მოედანი და ვარჯიში მენატრება. რას ვიზამ... ეტყობა, ასეთი პაუზა მჭირდებოდა"*, - ამბობს გოცირიძე.

უკრაინელი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რა მდგომარეობაშია ქართველი ლეგიონერი და ითამაშებს თუ არა ფეხბურთს. ამასთან დაკავშირებით, „დნიპროს" გენმენეჯერმა **ანდრეი სტოცენკომ** საგანგებო კომენტარი გააკეთა.

*„მომხდარმა შოკში ჩაგვაგდო. ბექა უდიდეს იმედებს იძლევა და მას უკვე შეეძლო, ძირითად შემადგენლობაში თამაში. ის ყველა ვარჯიშზე ასი პროცენტით იხარჯებოდა, თავს არასდროს ინდობდა... მოკლედ, ნამდვილი პროფესიონალია და უდიდესი პოტენციალიც გააჩნია. ვფიქრობ, ექიმებს მაქსიმალური შრომა დასჭირდებათ, გოცირიძე მოედანზე მალე რომ დააბრუნონ. გოცირიძე ჩვენი ფეხბურთელია და „დნიპრო" კონტრაქტის დარღვევას არ აპირებს. ბექას ყველანაირ ვითარებაში, ყოველთვის დავეხმარებით. იმედია, ამით ის მალე დაუბრუნდება სრულფასოვან ცხოვრებას"*, - განაცხადა სტოცენკომ.

რაკი გოცირიძეზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით იმ სენსაციურ ინფორმაციას, რომელიც მას და საქართველოს ნაკრების კიდევ ორ ფეხბურთელს - **ლევან მჭედლიძესა** და **ლევან ყენიას** უკავშირდება. მოკლედ, რა ხდება - თავის დროზე გოცირიძის ტრანსფერით, თითქოს, შოტლანდიური გრანდი „რეინჯერსი" იყო დაინტერესებული. სინამდვილეში კი, როგორც დავადგინეთ, ლაპარაკი იყო გლაზგოს გუნდზე, ოღონდ არა „რეინჯერსზე", არამედ ასევე პოპულარულ „სელტიკზე".

შარშან, „სელტიკს" შოტლანდიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **გორდონ სტრაჩანი** წვრთნიდა, რომელიც სამი (**ბექა გოცირიძე, ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე**) ქართველის აყვანას აპირებდა. რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, სტრაჩანი ჩვენი სამეულით შოტლანდიაში მცხოვრებმა ქართველებმა საერთო მეგობრის საშუალებით დააინტერესეს. სტრაჩანმა გაარკვია, რომ ყენიასა და მჭედლიძეში „შალკე" და „ემპოლი" სოლიდურ თანხას ითხოვდნენ. საბოლოოდ, სკოტს გოცირიძის გადაბირების იმედი შერჩა, ქართულ კლუბში მოთამაშე ფეხბურთელში დიდ თანხას არ მოითხოვენო - იმ დროს ბექა „ზესტაფონში" თამაშობდა. შოტლანდიელები მოლაპარაკების დაწყებას აპირებდნენ, როცა დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" ბექას გაყიდვის ამბავი შეიტყვეს. სტრაჩანს ეს ამბავი ეწყინა, რადგან ძალიან მოეწონა ბულგარეთთან მისი თამაში. გლაზგოელ ქართველებთან უთქვამს - ზუსტად ამ სტილის ფეხბურთელს ვეძებდიო.

იმედია, ბექა მოედანს მალე დაუბრუნდება და „დნიპროზე" სახელოვან კლუბში გადასვლის პერსპექტივა კიდევ ბევრჯერ გაუჩნდება. როგორც ამტკიცებენ, ელენთის გარეშე ფეხბურთელი უფრო მეტს ირბენს და დაღლასაც ვერ იგრძნობს...

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი


ვალერი აბრამიძე

# აბრამიძე აზერბაიჯანში ბრუნდება?

როგორც იცით, რუსეთის მეორე დივიზიონის ბინადარ ბარნაულის „დინამოში" საქართველოს ეროვნული ნაკრების ორი ყოფილი ფეხბურთელი ასპარეზობს - ფორვარდი **მიხეილ აშვეთია** და მცველი **ვალერი აბრამიძე**. **სერგო ირემაშვილის** გუნდის ლიდერები არიან. ბარნაულის „დინამოში" აშვეთიას გოლებიც გააქვს და არც საგოლე გადაცემებს იზარებს, აბრამიძე კი დაცვის საიმედოობას უზრუნველყოფს. ჩვენებურთა დამსახურებით, ბარნაულელებმა პირველი წრე აკი პირველ ადგილზეც ჩაამთავრეს, გუნდში წრის საუკეთესო ფეხბურთელად კი სწორედ აბრამიძე დაასახელეს...

თუმცა ამ უკანასკნელმა, შესაძლოა, ბარნაულელთა ქართული დუეტი „დაშალოს". საქმე ისაა, რომ აბრამიძე აზერბაიჯანულმა კლუბებმა გაიხსენეს. გუნდებს ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებენ, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, აბრამიძით დაინტერესებული ერთ-ერთი კლუბი ლენქორანის „ხაზარია".

2006/07 წლების სეზონში აბრამიძე სწორედ ამ გუნდში თამაშობდა. სხვათა შორის, XL (სწორედ ასე მოიხსენიებენ აზერბაიჯანში „ხაზარს" - ავტ) ევროპის ლიგაში იასპარეზებს და ბუნებრივია, შემადგენლობის გაძლიერებაზეც იზრუნებს.

*„ბარნაულის „დინამოსთან" კონტრაქტი მაკავშირებს. თუმცა ასე გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ მიმდინარე სეზონს მაინცდამაინც ამ გუნდში ჩავამთავრებ. ჩვენი მიზანი რუსეთის პირველ დივიზიონში გადასვლაა და იმედი მაქვს, ეს გამოგვივა კიდეც... აზერბაიჯანში დაბრუნება? ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდებია. შესაძლოა, ჩემით მართლაც არიან დაინტერესებულები, მაგრამ საქმე ახლა ისე არ დგას, რომ ხვალ-ზეგ უკვე აზერბაიჯანში ვიქნები"*, - თქვა აბრამიძემ რუსულ მედიასთან საუბრისას.

**დავით ცაბაძე**

ზესტაფონი — ევროპის ლიგა




# ლისბერნთან, ლობჟანიძის გარეშე

## ოცეული ბრიტანეთისკენ...

როგორც გაუწყეთ, სლოვენიური შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ „ზესტაფონმა" ევროპის ლიგაში ასპარეზობისთვის მზადება თბილისში განაგრძო. კლუბის პრესსამსახურის უფროს **სერგო ფუტკარაძის** თქმით, იმერლებმა სასტუმრო „ბატესტაში" დაიდეს ბინა, ვარჯიშები კი ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონსა და საგურამოს ბაზაზე ჩაატარეს. მცველ **გიორგი კაჭკაჭიშვილის** გარდა, ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და სრული დატვირთვით ემზადება. ჩრდილოირლანდიურ „ლისბერნზე" **გია გეგუჩაძეს** ვიდეომასალაც მიაწოდეს და ამის საფუძველზე მწვრთნელმა გუნდს სპეციალური თეორიული მეცადინეობაც ჩაუტარა.

შეგახსენებთ, რომ „ზესტაფონმა", ევროპის ლიგაში საასპარეზოდ, უეფასთვის განკუთვნილ განაცხადში 21 ფეხბურთელი შეიყვანა, თუმცა ბრიტანეთში 20 მათგანი იახლა. ლისბერნში ვერ ითამაშებს მცველი **უჩა ლობჟანიძე**, რომელსაც შარშანდლიდან დისკვალიფიკაცია გამოჰყვა. თუმცა ლობჟანიძე, ისევე, როგორც გუნდის მესამე მეკარე **კახაბერ მეშველიანი**, გუნდს ჩრდილოირლანდიაში მაინც წაჰყვებიან. 20-კაციანი სია, ნომრებითურთ, ასე გამოიყურება:

მეკარეები - **1. როინ კვასხვაძე, 12. ზურაბ მამალაძე, 25. კახაბერ მეშველიანი;**

მცველები - **3. უჩა ლობჟანიძე, 4. გიორგი ონიანი, 5. სევასტი თოდუა, 13. კარენ მაკარიანი, 16. გიორგი ხიდეშელი, 20. ზაალ ელიავა;**

ნახევარმცველები - **6. ნიკა კვასხვაძე, 7. ალექსი ბენაშვილი, 8. მურთაზ დაუშვილი, 10. ირაკლი ძარია, 17. თორნიკე გორგიაშვილი, 18. თორნიკე აფციაური, 19. შოთა გრიგალაშვილი, 27. გიორგი ჭანკოტაძე;**

თავდამსხმელები - **2. ზურაბ იონანიძე, 9. ნიკა გელაშვილი, 11. ჯაბა დვალი.**

ზესტაფონელთა ჩარტერული ავიარეისი ბრიტანეთში გრინვიჩის დროით 14:30 საათზე დაეშვება. ქართული დელეგაცია სასტუმრო „რედისონში" დაბინავდება. დღესვე, საღამოს, გეგუჩაძის კრებული ბელფასტიდან 40 კმ-ის მოშორებით მდებარე ქალაქ ლურგანში ჩავა და მატჩისწინა დასკვნით ვარჯიშს ჩაატარებს. ხვალ კი, 2 ივლისს, „ლისბერნსა" და „ზესტაფონს" შორის ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი „მურნევიუ პარკზე" თბილისის დროით 22:45 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

მგლები/ბაია

# ზუგდიდი ჯერ გაგრასთან...

ზუგდიდელთა გაერთიანებული გუნდი ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს. **ბესიკ შეროზია** ფეხბურთელებს აქამდე მშობლიურ ქალაქში, „ბაიას" ბაზაზე ავარჯიშებდა, დღეიდან კი, 11 ივლისის ჩათვლით, ზუგდიდელები ურეკში ივარჯიშებენ და საკონტროლო მატჩებსაც იქვე გამართავენ.

მწვრთნელებმა რამდენიმე მოთამაშე დუბლებიდან დაიმატეს, შემადგენლობა ორად გაყვეს და ორმხრივი თამაში გააჩაღეს. შეროზიას თანაშემწე **ელგუჯა ქომეთიანის** (ის „ბაიაში" **ჰერბერტ ცანკერის** თანაშემწე იყო, გერმანელის წასვლის შემდეგ კი მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა - ავტ) თქმით, შემადგენლობები დაბალანსებული არ იყო. 4:1 იმ კრებულმა მოიგო, რომელსაც დუბლების ფეხბურთელები ჰყავდა დამატებული. რაც შეეხება გოლებს, თითო ბურთი **დათა რაფავამ, ლუკა გუგუჩიამ** და **დავით კუტალიამ** გაიტანეს. **ირაკლი ხუციძემ** კი ორი გოლი შეაგდო. საინტერესოა, როგორ ითამაშა ორმხრივ მატჩში აფრიკელმა ფორვარდმა **ჩისამბა ლუნგუმ**.

*„ლუნგუ ბურთს კარგად ფლობს და ჯერჯერობით კარგადაც გამოიყურება. ამ სპარინგმატჩში მან გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ საგოლე მომენტები კი ჰქონდა. მას ურეკში კიდევ დავაკვირდებით და ვნახოთ როგორ წარმოჩნდება"*, - უთხრა „ლელოს" ქომეთიანმა.



გია თოდუა

ზუგდიდელები ზღვისპირეთში 25 ფეხბურთელით გაემგზავრნენ:

მეკარეები - **თორნიკე ზარქუა, არჩილ მაქაცარია;**

მცველები - **როინ ონიანი, მამუკა აქუბარდია, ლაშა სვირავა, ზურაბ ექონია, გიგა ჟვანია, გიორგი პაჭკორია, გიორგი ქვარცხავა, ნიკა აფაქიძე;**

ნახევარმცველები - **ვალტერ გუჩუა, გიორგი ქირია, დავით ქირია, ლევან ვართაგავა, ლუკა გუგუჩია, ზვიად სიხარულია, ლევან წურწუმია, ირაკლი ხუციძე, გიორგი გულორდავა, ნიკა შონია, ნიკა კვეკვესკირი;**

თავდამსხმელები - **გია თოდუა, დავით კუტალია, ჩისამბა ლუნგუ, დათა რიგვავა.**

ზუგდიდელები ურეკში 11 დღე დარჩებიან. შეროზიას სამწყსო პირველ საკონტროლო შეხვედრას ზეგ, 3 ივლისს, „გაგრასთან" გამართავს. ზუგდიდელებს მომდევნო ამხანაგური მატჩის ჩატარება 7 ივლისს უნდათ, თუმცა სპარინგპარტნიორი ჯერ ვერ მოუძებნიათ.

**დავით ცაბაძე**

დინამო

# მოგებით დაიწყეს...

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ თბილისის „დინამო“ მოსამზადებელ შეკრებას გერმანიაში გადის. **კახა კაჭარავას** გუნდი ბად ბლანკენბურგშია დაბინავებული და ყოველდღე ორჯერ ვარჯიშობს. კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძის** ცნობით, დინამოელები დილით სპორტულ დარბაზში, ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე ვარჯიშობენ, სალამოს წვრთნა კი უკვე მოედანზე ტარდება და ტაქტიკური სქემების დახვეწაზე კეთდება აქცენტი. სხვათა შორის, „დინამოს“ გვერდით იყო დაბინავებული მიონხენგლადბახის „ბორუსია“, რომელმაც უკვე დატოვა დისლოკაციის ადგილი და იენის „კარლ ცაისი“ დაბანაკდა. საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენი გუნდი იენელებს 7 ივლისს გაეჯიბრება. მანამდე კი თბილისელებმა გერმანულ შეკრებაზე გუშინ პირველი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს. კაჭარავას გუნდი ადგილობრივ ქვედალიგოსან „ზელბიცს“ დაუპირისპირდა და 3:1 მოიგო. რაც შეეხება უშუალოდ მატჩს. შეხვედრა დინამოელთა უპირატესობით წარიმართა. თავიდანვე გამცნობთ, რომ გუშინ გამართულ ამხანაგურ მატჩში **გიორგი ნადირაძეს, ნიკა ფირცხალავასა** და მეკარე **გიორგი სომხიშვილს** არ უთამაშიათ. ახლა კი გოლებზეც ვთქვათ. ანგარიში 25-ე წუთზე **გიორგი მერებაშვილმა** გახსნა. 3 წუთში **მათე ვაწაძემ** ანგარიში ორამდე გაზარდა. მეორე ტაიმის სტარტზე, 50-ე წუთზე კი **შოთა კაშიამ** მესამედ დაამწუხრა გერმანელები.

„ზელბეცთან“ „დინამომ ასეთი შემადენლობით ითამაშა: **ლორია, ნერგაძე, გ. კაშია, ხმალაძე, დილმელაშვილი, კოშკაძე, ვაწაძე, მერებაშვილი, თომაშვილი, ჩარასი, ჯუისი.** მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **კაკუბავა, ჩადუნელი, ლომია, შ. კაშია, ჯიშკარიანი, ნემსაძე, მამუჩაშვილი, სიხარულიძე, აკირემი.**

დაბოლოს, თბილისის „დინამო“ მომდევნო ამხანაგურ მატჩს ხვალ, 2 ივლისს ადგილობრივ ქვედალიგოსან „გერასთან“ გამართავს.

**დავით ცაბაძე**



ანგარიში გიორგი მერებაშვილმა გახსნა

ბავშვთა ფეხბურთი

# ახალქაცის თასი ვიტ ჯორჯიას

**ვიტ ჯორჯია-სპარტაკი 3:2**

**1:0 ლორთქიფანიძე (4), 2:0 ლორთქიფანიძე (32), 2:1 როზომაშვილი (40), 2:2 ხურაშვილი (72), 3:2 ამირიძე (84)**

1991 წელს დაბადებულ ბავშვთა შორის **ნოდარ ახალკაცის** სახელობის თასის გათამაშება დასრულებულია. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი უკვე მეორედ ჩატარდა. გათამაშებაში უმაღლესი ლიგის ყველა კლუბიდან 91-წლიანთა გუნდები მონაწილეობენ. ფინალური მატჩი ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართა. თამაში საინტერესოდ რომ წარიმართა, ამაზე ანგარიშის დინამიკაც მეტყველებს. დაძაბულ ბრძოლაში „ვიტ ჯორჯიამ“ დამსახურებულად დაამარცხა ცხინვალის „სპარტაკი“ და ნოდარ ახალკაცის სახელობის თასს დაეუფლა.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# ასათიანის და მუჯირის ჩეხური ზავი

ავსტრიაში, მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. **მალხაზ ასათიანისა** და **დავით მუჯირის** გუნდი ჩეხებს, **გიორგი განუგრავას** ყოფილ გუნდს „მლადა ბოლესლავს“ დაუპირისპირდა. შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა. რკინიგზელებმა ორივე ბურთი პირველ ტაიმში გაიტანეს. ქართველებს კი მოსკოველთა სასტარტო შემადგენლობაში არ უთამაშიათ. მალხაზ ასათიანი 62-ე წუთზე **გლუშაკოვის** ნაცვლად ჩაერთო თამაშში, 4 წუთში კი **სიჩოვი** დათო მუჯირმა შეცვალა.

ხვალ, 2 ივლისს „მლადა ბოლესლავს“ მოსკოვის „სპარტაკი“ ეთამაშება. შეგახსენებთ, რომ ჭაბუკთა ნაკრების ფორვარდი **ჯანიკო ანანიძე** ავსტრიულ შეკრებაზე სწორედ „სპარტაკის“ ძირითად გუნდთან ერთადაა.

**დავით ცაბაძე**



მალხაზ ასათიანი



დავით მუჯირი

ინტერვიუ

# რას ჰქვია, არ ჩამოხვალ?! ეს საქართველოს ნაკრებია!..

« მეორე გვერდიდან

**- არველაძეების ფონდი ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს ევროპაში უკვალავს გზას. უახლოეს მომავალში ვინმეს ტრანსფერს ხომ არ უნდა ველოდეთ?**

- ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ და იმედია, შედეგებიც გვექნება. ჯერჯერობით, მეტს ვერაფერს გეტყვით... ახლახან, ალექსანდრე რეხვიაშვილს ველაპარაკე. ზამთარში ლატვიაში ბავშვთა ტურნირია, რომელშიც „ბაიერნი“ და სხვა ცნობილი კლუბები ითამაშებენ. მალე გავიგებ, თუ რა ასაკის ბავშვებშია ეს ტურნირი და, ალბათ, ჩვენც წავიყვანთ გუნდს.

**- ახლა სანაკრებო თემაზე გადავიდეთ. არველაძეების ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში ახალგაზრდა ფეხბურთელებს უსაყვედურეთ. იქნებ, უფრო ვრცლად ვისაუბროთ?**

- თავიდანვე გეტყვით, რომ კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ და ტყუილად ნუ ჩამეძიებით... მე რომ არ ვარ ნაკრებში, იმიტომ ხართ კარგადო, - წავიკითხე ერთ-ერთ ინტერვიუში და ამგვარი პათოსი სხვაგანაც იგრძნობოდა. ისე, კარგია, ახალგაზრდა ფეხბურთელს ნაკრებში ყოფნის ამბიცია რომ აქვს, მაგრამ ასე ლაპარაკი არ შეიძლება! დაუკვირდით - იმიტომ ხართ კარგადო. ეს „ხართ“ რას ნიშნავს? თქვენ სხვა ქვეყნიდან ხართ? ეს „ხართ“ არ უნდა იყოს. ასეთი გამოთქმა არც ლამაზია, არც საქმეს წაადგება და ამით ურთიერთობასაც გაიფუჭებენ. ეს მეც არ მომწონს და დამიჯერეთ, არც სხვას მოეწონება. ახალგაზრდა ფეხბურთელები უფრო ჭკვიანურად უნდა მიუდგნენ საქმეს. როგორც უფროსი მეგობარი, მათ ამას ვურჩევდი... რა, დაავიწყდა ხალხს? ბარე 10 მატჩის განმავლობაში მეც არ მიძახებდნენ ეროვნულ გუნდში, მაგრამ მსგავსი რამ არასოდეს მითქვამს... ისიც არ არის ლამაზი - ნაკრებში არ ჩამოვალო, რომ ამბობენ. რას ჰქვია, არ ჩამოხვალ?! ეს საქართველოს ნაკრებია, შენი ქვეყნის და არა - ვინმეს საკუთრება... იცით, კიდევ რა არ მომწონს? - ცქიტიშვილისა და ასათიანის სახელით სარგებლობენ და მათ გვერდით საკუთარ თავსაც აყენებენ. თუ ცქიტიშვილსა და ასათიანს რამის თქმა უნდათ, თავადვე იტყვიან... სხვათა შორის, ასათიანი უკვე ათამაშდა. აგერ, ინტერნეტში წავიკითხე - მოსამზადებელ შეკრებაზე ერთ-ერთი საუკეთესოაო, კარგად არის დათო მუჯირიც, მათ ალბათ ნაკრებშიც გამოიძახებენ... ასეა, ისეთი რამ არ უნდა თქვა, რაც შენსავე მომავალს არ წაადგება... „იმიტომ ხართ კარგად“ - ეს არ უნდა თქვა! ეს შენი ქვეყნის ნაკრებია, შენი ეროვნული გუნდია...

**- შოთა, ნაკრების მოუგებელ ციკლს რით ახსნიდით, რა არის მაინც მიზეზი? იქნებ, უფრო ღრმად ჩავწვდეთ...**

- როგორც რიგითი გულშემატკივარი, სიამოვნებით მოვისმენდი ამ საკითხზე ჰექტორ კუპერის არგუმენტირებულ ანალიზს. მე პირადად, ვერაფრით ამიხსნია ამდენი მოუგებელი თამაში. ამ შესარჩევ ციკლში კიდევ 3 მატჩი დაგვრჩა ჩასატარებელი. საკვალიფიკაციოში ორი თუ არა, ერთი დიდი გამონათება ყოველთვის გვქონდა და ახლა მოუგებლები უნდა დავრჩეთ? არ ვიცი, რა გითხრათ... ალბათ, სერიოზული დაფიქრებაა საჭირო. საინტერესოა, კუპერი რას ფიქრობს? უნდა მომდევნო ციკლში მუშაობის გაგრძელება?

**- ის ამბობს, რომ საქართველოს ნაკრებში მუშაობა მისთვის საინტერესოა...**

- ეს კარგია და მესმის კიდეც კუპერის. მას თავისი ამბიცია აქვს. მონადინებულია, რომ საქართველოს ნაკრებში კარგი შედეგები ჰქონდეს. ნაკრების შედეგების ანალიზისას ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც არ უნდა დაგვავიწყდეს. ისიც ფაქტია, რომ კუპერს ყველაზე სუსტი ნაკრები დახვდა. ტრავმების გამო ხშირად გვაკლდებოდნენ ყენია, მჭედლიძე, კალაძე, ასათიანი... ხიზანიშვილი უთამაშებელია... ერთი სიტყვით, იმ დონის აღარ არის ნაკრები. თუმცა ხელი არ უნდა ჩავიქნიოთ, მომავალი თაობები უნდა გავზარდოთ, გზაზე დავაყენოთ... აგერ, მიშა ყაველაშვილს ჰყავდა წაყვანილი ბავშვები საერთაშორისო ტურნირზე. კარგი იქნება, სხვებმაც რომ მიბაძონ. 35-ე საფეხბურთო სკოლა ახალი სასწავლო წლიდან ერთ სისტემაზე გადადის. სკოლას ერთი მწვრთნელი ეყოლება და სწავლების ცენტრალიზებული სისტემა იქნება. ეს ის სქემაა, რაც ჰოლანდიაში, გერმანიაში, ინგლისში... საერთოდ, დასავლეთ ევროპაშია აპრობირებული... ამაში სხვა სკოლებიც მოგვბაძავენ და ეს ქართულ ფეხბურთს უთუოდ წაადგება.

**დავით ცაბაძე**

უკანასკნელ საათს

## ვალენსია მანჩესტერში

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაადასტურა, რომ „უიგანიდან“ **ანტონიო ვალენსია** შეიძინა. 23 წლის ეკვადორელი გარემარბის ტრანსფერზე მხოლოდ ისაა ცნობილი, „მენიუსთან“ 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. გავიგეთ ისიც, რომ სერ **ალექს ფერგიუსონი** ძლიერ გახარებული ყოფილა - ეს ბიჭი დიდი ხანია ჩვენი თვალთახედვის არეშია და დარწმუნებული ვარ, გუნდს თავის ხიბლს შემატებსო. თავად ფეხბურთელმა კი ლეგენდარულ კლუბში გადასვლას „ბავშვობის ოცნების ასრულება“ უწოდა. როგორც ყველა, ამ მხრივ ვერც ვალენსია აღმოჩნდა ორიგინალური...

## შიმუნიჩმა დედაქალაქი სოფელზე გაცვალა

31 წლის **იოსიპ შიმუნიჩმა** ის გადაწყვეტილება მიიღო, ამ ასაკისთვის რომაა შესაფერისი - დედაქალაქური „ჰერტადან“ უფრო მშვიდ გარემოში, „ჰოფენჰაიმში“ გადავიდა. ამ გუნდმა გასული სეზონის პირველ წრეში ერთპიროვნული ლიდერობით გაგვაოცა, რასაც სუპერბომბარდირ **ვედად იბიშევიჩის** მძიმე ტრავმით გამოწვეული ჩავარდნა მოჰყვა...

ასეა თუ ისე, ხორვატმა შიმუნიჩმა „სოფლელებს“ ბედი 2012 წლის 30 ივნისამდე დაუკავშირა და იქვე დასძინა - ბერლინში გატარებული 10 წელი უდიდესი გამოცდილებაა და „ჰოფეს“ ბიჭებს ეს მეტად გამოადგებათო.

## ხერესი უმწვრთნელოდ

ესპანურ პრიმერა დივიზიონში ალზევებულ „ხერესს“ მთავარი მწვრთნელი აღარ ჰყავს. მიუხედავად შთამბეჭდავი წარმატებისა, კლუბის ხელმძღვანელობამ **ესტებან ვიგოს** მთლად მოსაწონი კონტრაქტი ველარ შესთავაზა, რამაც საბოლოოდ გაყრა გამოიწვია. აი, რას ამბობს სინიორ ვიგო:

*„კლუბმა თავისი პირობები წამომიყენა და ჩემი მხრიდანაც იყო წინადადება, რაზეც „ხერესის“ თავკაცები არ წამოვიდნენ. აშკარა გახდა, რომ შეთანხმებამდე ვერ მივიდოდით. ამ გუნდიდან უკვე მეორედ მივდივარ - 2004 წელს, ფაქტობრივად, სათადარიგო გასასვლელით დავტოვე „ხერესი“, ახლა კი შემიძლია ვთქვა, რომ კლუბს თავანეული ვემშვიდობები“.*

## დელვეკიომ კატანიას მიაშურა

„კატანიამ“ მთელ დუნიას მოსდო ამბავი, რომ „სამპდორიადან“ შემტევი ნახევარმცველი **ჯენარო დელვეკიო** გადაიბირა. სხვათა შორის, „სკუადრა აძურაში“ ნათამაშებ 31 წლის დელვეკიოს „კატანიაში“ ადრე ორი სეზონი აქვს გატარებული, „სამპაში“ კი 2005 წლიდან ირჯება. ჯენარომ „სპილოებთან“ 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. სიცილიელთა განკარგულებაში ის 3 ივლისიდან იქნება.

ტრანსფერები

# მილიტომ ოთხწლიანი გააფორმა

## აკვაფრესკა ჯენოაში

**დიეგო მილიტო** რომ მომავალი სეზონიდან „ინტერში“ ისასპარეზებს, დიდი ხანია ვიცით. „ინტერის“ და „ჯენოას“ პრეზიდენტებს შორის სიტყვიერი შეთანხმება ჯერ კიდევ თვე-ნახევრის წინ შედგა და მაშინვე ყველაფერი გაცხადდა. გუშინ კი არგენტინელი ფეხბურთელი უკვე ოფიციალურად გახდა „ნერაძურის“ წევრი. 30 წლის თავდამსხმელმა ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და ბედი იტალიის ჩემპიონს დაუკავშირა. აი, რა განაცხადა ბედნიერმა მილიტომ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ:

*„ძალიან მიხარია, რომ ასეთ დიად კლუბში ამოვყავი თავი. თავის დროზე, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, როდესაც „ჯენოაში“ გადავედი. ამ გუნდში ჩავეწერე და თავი საუკეთესო კუთხით წარმოვაჩინე. შედეგად, ჩემით „ნერაძური“ დაინტერესდა და მეც მილანში ვარ. ძალიან მიხარია, რომ ჟოზე მოურინიოსთან მომიწევს მუშაობა. ამ ადამიანს უკვე ვესაუბრე და მივხვდი, რატომ იგებენ მუდმივად მისი გაწვრთნილი გუნდები. დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში ყველა ფრონტზე უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. საამისოდ ყველაფერი გვიწყობს ხელს, გვტავს ბრწყინვალე ფეხბურთელები, დდებული მწვრთნელი, ერთგული გულშემატკივრები და გვაქვს გამარჯვებულის მენტალიტეტი. ძალიან მინდა, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგა მოვიგოთ. ვიცი, რომ „ინტერს“ ეს ტროფეი ათეულობით წლებია არ მოუგია და კარგი იქნება თუ ნავსს გავტეხთ“.*

შეგახსენებთ, რომ მილიტომ გასულ სეზონში 24 გოლი გაიტანა და მხოლოდ ერთი ბურთი დააკლდა საუკეთესო ბომბარდირის **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** მონაგარამდე. შვედმა 25 გოლს მოუყარა თავი. საგულისხმოა, რომ ამიერიდან, იტალიის სერია A-ს ორი საუკეთესო გოლეადორი ერთ გუნდში ისასპარეზებს. გასულ სეზონში, ამ ორ თავდამსხმელზე 49 გოლი მოდის, რაც, დაგვეთანხმებით, შესაშური შედეგია. ორი აზრი არ არის, რომ ჟოზე მოურინიოს გუნდს შემტევთა ბრწყინვალე ტანდემი ეყოლება.

მილიტოს ტრანსფერმა **რობერტ აკვაფრესკას** მომავალიც შეცვალა. იტალიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი „ინტერის“ საკუთრებაა და „კალიარიში“ იჯარის წესით ასპარეზობდა. თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ აკვაფრესკა მომავალ სეზონსაც კუნძულზე გაატარებდა, თუმცა მილიტოს „ინტერში“ გადასვლამ, ყველაფერი შეცვალა. ალბათ მიხვდით, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი „ჯენოაში“ გადაბარგდა და მომავალ სეზონს სწორედ „როსობლუში“ გაატარებს. შეგახსენებთ, რომ რობერტმა გასულ სეზონში 14 გოლი გაიტანა.

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც „ინტერს“ უკავშირდება, **დუგლას მაიკონს** ეხება. რამდენიმე დღის წინ, ფეხბურთელის პირადმა აგენტმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი სავარაუდოდ მილანში დარჩება და კარიერას „ინტერში“ გააგრძელებს. ეს ამბავი გუშინ თავად ფეხბურთელმა დაადასტურა, როცა განაცხადა:

*„მეც გავიგე, თითქოს ჩემით „ჩელსი“ იყოს დაინტერესებული, მაგრამ პირადად მე, არავინ შემხმიანებია. იმავეს ვიტყოდი „მანჩესტერ სიტის“ ვარიანტზეც. საერთოდაც, „ინტერში“ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. „ნერაძურისთან“ ერთად დიდი მიზნების მიღწევა შეიძლება და დარწმუნებული ვარ, ეს ასეც იქნება. კონფედერაციათა თასზე კარგად ვითამაშე და ჩემ მიმართ ინტერესის ზრდა ბუნებრივად მეჩვენება. მიუხედავად ამისა, ჩემი მილანიდან წასვლა დღეს არარეალურია. გასული სეზონი ძალიან მძიმე იყო, დავიღალე და დასვენება მჭირდება. უახლოეს დღეებში, ოჯახთან ერთად სან პაულოში გავემგზავრები, სადაც კარგად დავისვენებ“.*


დიეგო მილიტო

ფიორენტინა

# მელოს ინარჩუნებენ

## ბრაზილიელმა ვიოლასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა


ფელიპე მელო

**ფელიპე მელომ** კონფედერაციათა თასზე დიდებულად ისასპარეზა და შედეგად, მისით ევროპული ფეხბურთის გრანდები დაინტერესდნენ. მასმედიაში არაერთხელ ითქვა და დაიწერა, რომ ამ ზაფხულს „ფიორენტინას“ მესვეურები მელოს დათმობის სანაცვლოდ, ძალიან მაცდუნებელ წინადადებებს მიიღებდნენ. ბუნებრივია, ფლორენციელები დაფაცურდნენ და ბრაზილიელთან ახალი, ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულების დადება გადაწყვიტეს. ფეხბურთელის პირად აგენტთან მიმდინარე მოლაპარაკებები კვირაზე მეტხანს გაგრძელდა და გუშინ, შეთანხმებით დასრულდა. ფელიპე მელომ ხელშეკრულება გაახანგრძლივა და „ვიოლას“ ბედი 2013 წლამდე დაუკავშირა.

ჟურნალისტთა ვარაუდით, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფელიპეს ფლორენციაში დარჩენა გადაწყვეტილი ამბავია. უბრალოდ, ამ ნაბიჯით „ფიორენტინას“ მესვეურებმა ყველას ნათლად დაანახვეს, რომ ვისაც ბრაზილიელის გადაბირება სურს, დიდი თანხის გაღება მოუწევს. ფეხბურთელი რომ გაჯიუტებულიყო და „ვიოლასთან“ ხელშეკრულება არ გაეხანგრძლივებინა, მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტის სტატუსით ნებისმიერ გუნდში შეეძლო გადასვლა. მელომ ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა:

*„ამ კლუბმა იმდენი მომცა, რომ ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე უარის თქმა აზრადაც არ მომსვლია. ეს უმადურობა იქნებოდა, რაც ჩემს ხასიათში არ ზის. თუმცა, მხოლოდ მაგაშიც არაა საქმე, ფლორენციაში თავს იდეალურად ვგრძნობ და თუ მართლა საოცნებო წინადადება არ მივიღე, აქედან წასვლაზე არც კი ვიფიქრებ. ჯერ ახალგაზრდა ვარ და არსად მეჩქარება. მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გვიწევს ასპარეზობა და ეს მოტივაციას მმატებს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს გუნდს ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში ბევრის მიღწევა შეუძლია“.*

გურუ ბრუნდება?


ლუჩანო მოჯი

# მოჯი რაღაცას მაიმუნობს

**ლუჩანო მოჯი** ფეხბურთს ვერ ეშვება, რისი დასტურიც გუშინ გავრცელებული ინფორმაცია გახლავთ. „კორიერე დელო სპორტი“ იუწყება, რომ უახლოეს მომავალში სენიორ „კალჩოპოლი“ და „იუვეს“ სატრანსფერო გურუ „ბოლონიას“ კონსულტანტი გახდება და კლუბის სატრანფერო პოლიტიკაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. მოჯის დისკვალიფიკაცია აქვს და საფეხბურთო საქმიანობა ეკრძალება. თუმცა ამ შემთხვევაში, მას ვერავინ შეედავება, რადგან ის კონსულტანტის არაოფიციალურ პოსტს დაიკავებს. თუმცა, ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ ლუჩანო არ დაკმაყოფილდება უბრალო მრჩევლის როლით, მთლიანად აიღებს ხელში სატრანსფერო პოლიტიკის სადავეებს და სამომავლოდ, შესაძლოა კლუბის აქციებიც იყიდოს. ამას, კატეგორიულად უარყოფს თავად მოჯი და შემდეგს აცხადებს:

*„დასამალი არაფერი მაქვს, ძალიან საინტერესო საქმისთვის ვაპირებ ხელის მოკიდებას და იმედია, წარმატება ჩემი თანმდევი იქნება. სატრანსფერო საკითხებში დიდი გამოცდილება დამიგროვდა და მინდა, ეს ცოდნა „ბოლონიას“ მოვახმარო. კლუბი დახმარებას საჭიროებს და მე ამისთვის მზად ვარ. დარწმუნებული ვარ, თუ ყველანი ერთად მოვინდომებთ, „ბოლონიას“ განვითარების სრულიად ახალ საფეხურზე ავიყვანთ. აქვე, კატეგორიულად უარვყოფ ჩემს შესაძლო მონაწილეობას კლუბის მენეჯმენტის საკითხებში. მით უმეტეს, გამოვრიცხავ, რომ „ბოლონიას“ თანამფლობელი გავხდე. ამის არც სურვილი მაქვს და არც უფლება. კონსულტანტი ვიქნები და ასე შევიტან წვლილს კლუბის განვითარებაში“.*

ვეტერანი

# მალდინის გრანდიოზულად გააცილებენ

გასულ სეზონთან ერთად, იტალიურ ფეხბურთში ერთი დიდი ეპოქა დასრულდა. როგორც იცით, საფეხბურთო კარიერა „მილანის“ ლეგენდარულმა კაპიტანმა **პაოლო მალდინიმ** დაასრულა. პაოლო მთელმა იტალიამ გულმხურვალედ გააცილა, თუმცა გამოსამშვიდობებელი საღამო და ემოციების ზღვა ჯერ კიდევ წინ გველის. ამას წინათ, „გაძეტა დელო სპორტის“ ერთი გვერდი მთლიანად პაოლოს სანაკრებო პაექრობებს დაეთმო. შეგახსენებთ, რომ 1988-02 წლებში მალდინიმ აძურას შემადგენლობაში 126 შეხვედრის გამართვა მოასწრო. ავტორიტეტული გამოცემის ჟურნალისტი ფედერკალჩოს პრეზიდენტს, **ჯანკარლო აბატეს** დაუკავშირდა და პაოლოს გაცილების საღამოზე დაეკითხა:

*„ასეთი მატჩი აუცილებლად შედგება, რადგან მალდინი ამას იმსახურებს. 126 შეხვედრა ეროვნულ ნაკრებში სახუმარო საქმე არაა და ეს დიდ დაფასებას მოითხოვს. უახლოეს დღეებში, მატჩის საორგანიზაციო კომიტეტი შეიქმნება და მუშაობას დავიწყებთ. ყველაფერი თავად პაოლოს სურვილებზეა დამოკიდებული, სწორედ მისი იდეების მიხედვით გაკეთდება სცენარი. შეხვედრა „სან სიროზე“ შედგება და ამას წყალი არ გაუვა, დანარჩენს კი თავად მალდინი იტყვის. ბუნებრივია, მატჩის ორგანიზებაში აქტიურად იქნებიან ჩართულნი „მილანის“ მესვეურებიც. ერთი გუნდი რომ „როსონერი“ იქნება, ცხადზე ცხადია, მეორეს კი ალბათ პაოლოს მეგობრები დააკომპლექტებენ. იტალიის ნაკრებთან გამოთხოვება ცალკე სასაუბრო თემაა და არც იმას გამოვრიცხავთ, რომ „აძურას“ რომელიმე ამხანაგურ პაექრობაში, ლეგენდარულმა კაპიტანმა თუნდაც ერთი ტაიმი ითამაშოს“.*

ერთი სიტყვით, მალდინიმ კი დაანება ფეხბურთს თავი, მაგრამ ასე იოლად მას არავინ გაუშვებს მწვანე მინდვრიდან. გამოსამშვიდობებელი შეხვედრა წინ არის და ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რაოდენ გრანდიოზულ და მასშტაბურ სანახაობასთან გვექნება საქმე.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**


პაოლო მალდინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ — ლუკა ტონი


ლუკა ტონიმ ბუნდესლიგის 56 მატჩში 38 გოლი გაიტანა

# ბასტა, მიუნხენში ვრჩები და არაფრის მეშინია!

## ლუკა ის ტიპი არ არის, ოლიჩს, კლოზეს და გომესს რომ გაექცეს...

სანამ ლუკა ტონი კონფედერაციათა თასზე ასპარეზობდა, გერმანულ სპორტულ პრესაში მასზე დღენიადაგ უამრავი ცნობა ვრცელდებოდა. იმის გამო, რომ მიუნხენურმა კლუბმა მომავალი სეზონისთვის ორი ახალი თავდამსხმელი (ივიცა ოლიჩი, მარიო გომესი) შეიძინა, ჩვენი გერმანელი კოლეგები ტონის მიუნხენიდან აბარგებას უწინასწარმეტყველებდნენ. მეტიც, ხშირად იწერებოდა, ლუკას თვითონ სურს „ბაიერნის" დატოვებაო. 31 წლის იტალიელი გოლეადორი რეკორდმაისტერიდან წასვლაზე, შესაძლოა, მართლაც ფიქრობდა, მაგრამ ფაქტია, რომ „ბაიერნში" დარჩენა გადაწყვიტა. სამხრეთი აფრიკიდან დაბრუნებულმა ფორვარდმა გადაწყვიტა, მის გარშემო ატეხილ სპეკულაციებსა თუ ჭორ-მართალს ბოლო მოუღოს. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც გამოცემა „ბილდში" გამოქვეყნდა.

**- ლუკა ტონი, იტალიის ნაკრებმა კონფედერაციათა თასზე თავი შეირცხვინა. როგორ შეაფასებთ სკუადრა აძურას გამოსვლას ამ ტურნირზე?**

- ცხადია, უარყოფითად. რაც უნდა სამწუხარო იყოს, ჩვენ ამ ტურნირისთვის მზად არ აღმოვჩნდით. რაიმე კონკრეტული მიზეზის დასახელება მიჭირს. ზოგადად მთელმა გუნდმა როგორლაც დუნედ იასპარეზა. შესაძლოა, განწყობის პრობლემაც იყო. დამღლელი სეზონის შემდეგ, ყველა მოთამაშე ძალიან იყო გამოფიტული და მხოლოდ დასვენებაზე ფიქრობდა. მიუხედავად ამისა, ეს რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, სულ სხვანაირად ვიასპარეზებდით, რადგან მიუხედავად დაღლილობისა, სულ სხვა შემართებით ვითამაშებდით.

**- იტალიური პრესა უკვე წერს, რომ მარჩელო ლიპიმ აგითვალწუნათ და რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის ძალიან მცირე შანსი გაქვთ...**

- პრესა ყოველთვის ამეტებს. ლიპიმ ჩემი შესაძლებლობები ძალიან კარგად იცის და ის არ არის ისეთი მწვრთნელი, რომელიც ფეხბურთელის ბედს ერთი ტურნირით, თანაც, კონფედერაციათა თასით გადაწყვეტს. ჩემთვის მთავარია, რომ კარგ სპორტულ ფორმაში ვიყო და დარწმუნებული ვარ, იტალიის ნაკრებსაც არ გამოვაკლდები.

**- კარგ ფორმაში ყოფნა, შეიძლება, ძალიან გაგიჭირდეთ, რადგან მომავალ სეზონში „ბაიერნის" თავდასხმაში უდიდესი კონკურენცია იქნება. როგორ შეაფასებდით იმას, რომ რეკორდმაისტერმა მარიო გომესი და ივიცა ოლიჩი გადაიბირა?**

- ორივე ძლიერი თავდამსხმელია და ორი აზრი არ არსებობს, ისინი „ბაიერნს" ძალიან გააძლიერებენ. ოლიჩისა და გომესის შესაძლებლობებზე საუბარი საჭირო არც არის - ისინი ტოპთავდამსხმელები არიან. გასული სეზონის ფონზე ცხადი იყო, რომ გუნდს ასეთი გაძლიერება სჭირდებოდა. ვფიქრობ, „ბაიერნში" ძალიან სწორად მოიქცნენ, როცა ოლიჩსა და გომესს კონტრაქტები გაუფორმეს.

**- უკვე დაწყებულია საუბრები იმის შესახებ, რომ თქვენ დღესდღეობით „ბაიერნის" რიგით მესამე თავდამსხმელი ხართ გომესისა და მირო კლოზეს შემდეგ. როგორ ფიქრობთ, დღეს რომ ბუნდესლიგის ახალი სეზონი იწყებოდეს, ლუკა ტონი ძირითად შემადგენლობაში არ ითამაშებდა?**

- ფაქტი ერთია: დღესდღეობით „ბაიერნს" ოთხი ძალიან მაღალი დონის ფორვარდი ჰყავს და ჩემი აზრით, არც ერთ გუნდში არ არსებობს ნომერ პირველი, მეორე, მესამე ან მეოთხე გოლეადორი. ვინ უნდა ითამაშოს ამა თუ იმ კონკრეტული შეხვედრის წინა ხაზში, ამას მწვრთნელი წყვეტს და თანაც, კონკრეტულად იმ მატჩის წინ და არა სეზონის დასაწყისში. ჩემი აზრით, დღეს აბსოლუტურად უაზრო და არაფრისმომტანია იმაზე საუბარი და ბჭობა, თუ ვინ ითამაშებდა სასტარტო შემადგენლობაში, დღეს რომ სეზონი იწყებოდეს. ამაზე მერე უნდა ვიმსჯელოთ და ვიფიქროთ, როცა პირველ ოფიციალურ მატჩამდე ორი დღე იქნება დარჩენილი. მე ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა, მწვრთნელებმა და გულშემატკივრებმა ძალიან კარგად იციან, რაც შემიძლია.

**- რეკორდმაისტერიდან წასვლაზე მართლა არ ფიქრობთ? გავრცელდა არაერთი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იტალიაში გიხმობენ. თქვენით „ბარსელონაც" კი ყოფილა დაინტერესებული...**

- არა, „ბაიერნიდან" წასვლას არ ვაპირებ. მიუნხენში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. რეკორდმაისტერს ყველაფერი აქვს, რაც მსურს. ეს არის მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი, რომელსაც რეალური შანსი აქვს, მოიგოს ჩემპიონთა ლიგა. აქედან წასვლა რატომ უნდა მინდოდეს? თანაც, ახლა კიდევ უფრო გავძლიერდით და ასეთი გუნდით უკვე ნამდვილად შეგვიძლია ლიგის მოგება. ჩემს გულშემატკივრებს კი ვპირდები, რომ „ბაიერნს" ვუერთგულებ. არსად გაქცევას არ ვაპირებ! პირიქით, უფრო დიდი მონდომებით ვივარჯიშებ და საქმით დავამტკიცებ, რომ სასტარტო შემადგენლობაში თამაშის ღირსი ვარ.

**- მაგრამ თქვენ შეგეძლოთ, წასულიყავით, მთხოვნელი ბევრია...**

- შემოთავაზებები ყოველთვის მქონდა. მას მერე, რაც „ბრეშადან" „პალერმოში" გადავედი და ასე ვთქვათ, ყველასათვის ცნობილი ფეხბურთელი გავხდი, თითქმის ყოველთვის ვილაც მეპატიჟებოდა. დასამალი არ არის ის, რომ საკმაოდ ძლიერმა კლუბებმა დამპატიჟეს. დარწმუნებული ვარ, რომ სექტემბრამდე კიდევ არაერთი გრანდი დამიკავშირდება, მაგრამ დღეს იმ აზრზე ვარ, რომ აუცილებლად „ბაიერნში" დავრჩები. მიუნხენური კლუბის გულშემატკივრები თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე მაგრძნობინებენ, რომ გუნდისთვის ძალიან საჭირო, აუცილებელი ფიგურა ვარ. ჰოდა, რატომ უნდა წავიდე?

**- ფაქტია, რომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომის საფრთხე გემუქრებათ და ამ ფაქტს ვერსად გაექცევით?**

- არა მგონია, რომ სათადარიგო ფეხბურთელი გავხდე, ამას თითქმის გამოვრიცხავ. მართალია, გასული სეზონი ჩავაგდეთ, მაგრამ პირადად მე რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე და არა მგონია, რომ აქ ვინმეს ჩემს შესაძლებლობებში ეჭვი შეეპაროს. მთავარია, რას იტყვის მწვრთნელი.

**- ლუის ვან გაალისგან რას ელით?**

- პირველ რიგში იმას, რომ ის გუნდს ტაქტიკას და სტრატეგიას მისცემს, ისეთ ტაქტიკასა და სტრატეგიას, რომელიც „ბაიერნს" გერმანიაში გააჩემპიონებს და ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოიყვანს. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის. რეკორდმაისტერში ფაქტობრივად ყველაფერი თავიდან იწყება და ეს ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია.

ვოლფსბურგი

# გრაფიტეც დარჩა!

## მგლებმა შესანიშნავი სამეული შეინარჩუნეს


გრაფიტე

როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა **გრაფიტემ** „ვოლფსბურგთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ბრაზილიელ თავდამსხმელს, რომელმაც ბუნდესლიგის გასულ სეზონში 28 გოლი გაიტანა, ძველი ხელშეკრულების ვადა 2011 წელს ეწურებოდა და ახალი კონტრაქტით, „ვოლფსბურგს" თავისი ბედი 2012 წლამდე დაუკავშირა. შეგახსენებთ, რომ „მგლებმა" გრაფიტე 2007 წელს ფრანგული „ლე მანიდან" შეიძინეს და მასში 8 მილიონი ევრო გადაიხადეს.

*„გრაფიტე უმაღლესი კლასის თავდამსხმელი და ჩვენი გუნდის უმთავრესი ფიგურაა. მიხარია, რომ ახალი კონტრაქტი გააფორმა და ჩვენთან 2012 წლამდე ითამაშებს,"* - აცხადებს „მგლების" დამრიგებელი **არმინ ფეე**.

*„ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი და როდის ჩავატარებთ პირველ მატჩს ჩემპიონთა ლიგაში. „ვოლფსბურგს" უდიდესი მიზნები აქვს და მეც მინდა, რომ ამ მიზნების ნაწილი ვიყო, გუნდის წარმატებაში ჩემი წვლილი შევიტანო,"* - ეს კი თვითონ ბრაზილიელი გოლეადორის სიტყვებია, რომელსაც ამიერიდან კიდევ ერთი მიზანი აქვს: ბრაზილიის ნაკრებში თამაში.

გასულ სეზონში გრაფიტემ მართლაც გრანდიოზული შედეგები აჩვენა. 30 წლის თავდამსხმელმა 28 გოლის გატანა 25 (!) მატჩში მოახერხა. საერთო ჯამში კი, ბუნდესლიგაში 49 მატჩში 39 გოლი აქვს გატანილი. როგორც იცით, „ვოლფსბურგში" რჩებიან გამთამაშებელი **ზვიეზდან მიშიმოვიჩი** (21 საგოლე პასი გასულ სეზონში) და მეორე გოლეადორი **ედინ ჯეკოც** (26 გოლი), რომელსაც „მილანი" ეპატიჟებოდა, მაგრამ „ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებმა არ გაუშვეს. ამრიგად, გერმანიის ჩემპიონმა სამივე ლიდერი, თავისი მაგიური ტრიო შეინარჩუნა. მართალია, ჯეკო განაწყენებულია იმის გამო, რომ „მილანში" გადასვლის უფლება არ მისცეს, მაგრამ ამბობს, „ვოლფსბურგისთვის" 100 პროცენტით დავიხარჯებიო.

შალკე

# მაგათის ვინმე კიკუჩი

## იაპონელმა ტრავმირებული ჯონსი უნდა შეცვალოს


ნაოია კიკუჩი

„შალკეს" საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსი** მძიმედ დაშავდა და გელზენკირხენულ კლუბს მინიმუმ 3 თვე ველარ დაეხმარება. როგორც ჩანს, გუნდის მთავარ მწვრთნელსა და მენეჯერ **ფელიქს მაგათს** ახალი სეზონის დაწყება ისე არ უნდა, რომ თავი არ დაიზღვიოს. „დესპოტმა ფელიქსმა" „შალკეში" სინჯებზე იაპონელი საყრდენი შუახაზელი, **ნაოია კიკუჩი** მიიწვია, რომელიც 24 წლისაა და ახლა მესამე ბუნდესლიგის წარმომადგენელ იენის „კარლ ცაისს" ეკუთვნის.

მოგეხსენებათ, მაგათი იაპონელ ფეხბურთელებს დიდ პატივს სცემს. კიკუჩი „კარლ ცაისში" 2008 წელს გადავიდა. რაც ყველაზე საინტერესოა, ეს ფეხბურთელი „კარლ ცაისის" ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი ფიგურა ნამდვილად არ იყო და გასულ სეზონში მხოლოდ 17 მატჩში მიიღო მონაწილეობა. მაგრამ მაგათი ხომ განსაკუთრებული მწვრთნელია და როგორც ჩანს, მან კიკუჩის უფრო მეტი შნო შეამჩნია, ვიდრე იენელებმა. თუ კიკუჩი „დესპოტ ფელიქსს" თავს მოაწონებს, გელზენკირხენელები მას ან იყიდან, ანაც ინათხოვრებენ.

სპეკულაცია

# ჰამბურგი და ბალაკი?


მიხაელ ბალაკი

**მიხაელ ბალაკი** უკან, ბუნდესლიგაში? ჯერჯერობით ეს მხოლოდ სპეკულაციაა, მაგრამ იმდენად საინტერესო, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ „ჰამბურგს" გერმანიის ნაკრების კაპიტნის შეძენა სურს!

ტრანსფერი რომ განხორციელდეს, ორი აზრი არ არსებობს, ეს იქნება ამ ზაფხულის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი გარიგება ბუნდესლიგაში. რამდენად რეალურია ის, რომ ბალაკმა „ჩელსი" დატოვოს და „ჰამბურგში" გადავიდეს? ფაქტია, მიხაელმა ლონდონურ კლუბთან ახლახან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2010 წლამდე აქვს. თანაც, გერმანიის ნაკრების კაპიტანი მინიმუმ 20 მილიონი ევრო ღირს და საინტერესოა, რამდენადაა ჩრდილოგერმანული კლუბი მზად, რომ ამხელა თანხა გადაიხადოს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ამბები

### ჰოფენჰაიმი: როზენალი ჩაიშალა

„კიკერი" იტყობინება, რომ **დავიდ როზენალი** „ჰოფენჰაიმში" არ გადავა. სოფლელებს ამ უკანასკნელის გადაბირება ძალიან უნდოდათ, მაგრამ როზენალმა მოსაფიქრებლად დიდი დრო ითხოვა. ამრიგად, „ჰოფენჰაიმის" გენერალური მენეჯერი **იან შინდელმაიზერი** მთელ ყურადღებას „ჰერტას" დაცვის ბურჯ **იოზიპ შიმუნიჩზე** გადაიტანს.

### ბოატენგი: უარი ინტერს!

ბოლო დღეებში გერმანულ პრესაში ვრცელდებოდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ მილანის „ინტერს" გერმანიის ახალგაზრდული ნაკრებისა და „ჰამბურგის" მცველ **ჟერომ ბოატენგის** გადაბირება სურს. ფეხბურთელის თქმით, მისთვის ეს დიდი პატივია, მაგრამ... *„მარტინ იოლი გუნდში რომ დარჩენილიყო, „ჰამბურგიდან" აუცილებლად წავიდოდი, მაგრამ რაკი ეს კაცი ჩვენი მწვრთნელი აღარ არის, არსად გადასვლა არ მინდა. ახალი მწვრთნელი ბრუნო ლაბადია ჩემზე უდიდეს იმედებს ამყარებს და მეც „ჰამბურგში" ვრჩები,"* - განაცხადა 20 წლის ბოატენგმა.

### შალკე და ჰოლტბი

აახენის „ალემანიას" ტალანტ **ლუის ჰოლტბის** „შალკეში" ტრანსფერი უსაშველოდ გაიწელა. 18 წლის ნიჭიერ თავდამსხმელს გელზენკირხენულ კლუბში გადასვლა სურს, მაგრამ კლუბები სატრანსფერო თანხაზე ვერ რიგდებიან. *„იმედი მაქვს, რომ ამ კვირაში ტრანსფერი გადაწყდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალ სეზონსაც „ალემანიაში" გავატარებ. ისე კი, „შალკეს" გარდა არსად წავალ,"* - განაცხადა ჰოლტბიმ, რომელსაც აახენურ კლუბთან კონტრაქტი გაისად უმთავრდება.

### ასამოა: უკან, ჰანოვერში?

„ბილდის" ინფორმაციით, დიდი შანსია, რომ „შალკეს" თავდამსხმელი **ჯერალდ ასამოა**, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 43 მატჩი აქვს ჩატარებული, „ჰანოვერში" დაბრუნდეს. „წითლების" სპორტული დირექტორი **იორგ შმადტკე** არ გამორიცხავს, რომ ამ დღეებში გელზენკირხენულ კლუბთან მოლაპარაკებები წამოიწყოს. „ჰანოვერის" თავკაც **დიტერ ჰეკინგს** 30 წლის ასამოას გადაბირება ჯერ კიდევ შარშან უნდოდა, მაგრამ მაშინ ტრანსფერი არ შედგა. ახლა კი ცხადია, რომ „შალკეს" ახალ თავკაც **ფელიქს მაგათს** ასამოა არ სჭირდება. ფეხბურთელიც ამბობს, თუ ისევ მთელი სეზონის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე ჯდომის საფრთხე მემუქრება, მირჩევნია წავიდეო. ფაქტია, რომ მაგათი ასამოას სასტარტო შემადგენლობაში არ ათამაშებს.

ფელიქს მაგათს ჯერალდ ასამოა (მარჯვნივ) არ სჭირდება









## კონფედერაციათა თასი. გამოხმაურება



გამარჯვებული ბრაზილიის ნაკრები

# ვალიაროთ ვუვუზელა?

**კარგი განწყობა სტადიონებზე, სიახლე ყოველდღიურ ცხოვრებაში და ა.შ. - კონფედერაციათა თასით სამხრეთ აფრიკამ მართლაც ძალიან იხეირა. მაგრამ შედგა კი მუნდიალის გენერალური რეპეტიცია? საკითხავი აი, ეს არის. ფიფას ბოს იოზეფ ბლატერს რომ ჰკითხოთ, შედგა. მაგრამ ბლატერი რამდენიმე კითხვას უპასუხოდ ტოვებს და სიმართლე უნდა ითქვას: სამხრეთ აფრიკაში გამართულმა კონფედერაციათა თასმა ისე ვერ გვასიამოვნა, როგორც 4 წლის წინათ გერმანიაში ჩატარებულმა იმავე ტურნირმა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მუნდიალიც ვერ გვასიამოვნებს ისე, როგორც ეს „გერმანია 2006"-ის შემთხვევაში იყო?**

ფინალის შემდეგ, თითქმის შუაღამისას, ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **კარლოს დუნგას** ჟურნალისტებმა სამხრეთ აფრიკაზე თავისი შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვეს. „სელესაოს" თავკაცმა ღრმად ჩაისუნთქა და მძიმედ დაიწყო:

*„ნეგატიურს ვერაფერს ვიტყვი. სასტუმრო, სტადიონები, უსაფრთხოება - ყველაფერი საკმაოდ მაღალ დონეზე იყო და ყველაფრით კმაყოფილი ვარ,* - თქვა დუნგამ და პრესკონფერენცია ისეთი წინადადებით დაასრულა, რომელსაც ალბათ ფიფას მარკეტინგის მენეჯერების მიერ დაწერილ დასკვნაშიც წავიკითხავთ, - *ჩვენ ბევრი ახალი მეგობარი შევიძინეთ. ვფიქრობ, სამხრეთ აფრიკაში ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მუნდიალი ჩატარდება".*

ფაქტია, რომ ევროპელთა უდიდესი ნაწილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს. ბლატერი კი ბობოქრობს, ბოლოს და ბოლოს, ევროპამ აფრიკა უნდა აღიაროსო. ბლატერი ამ შემთხვევაში უფრო ქველმოქმედის როლს თამაშობს და მიიჩნევს, რომ კრიმინალი, სიღარიბე და საშინელი ინფრასტრუქტურა, რაც სამხრეთ აფრიკაში თვალში საცემია, მუნდიალმა უნდა „დაამარცხოს". შესაბამისად, სამხრეთაფრიკელი პოლიტიკოსები, ფუნქციონერები თუ ჟურნალისტები ბლატერის ქება-დიდებით არიან დაკავებულები.

ჩვენთან, ევროპაში და ამერიკაში კი მსოფლიოს ჩემპიონატს სხვა თვალით უყურებენ და აფრიკელთა პრობლემების გადაჭრაზე ნაკლებად ფიქრობენ. ჩვენ ნამდვილი საფეხბურთო ზეიმის ხილვა გვსურს. გვინდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისგან, რომელიც მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება, მაქსიმალური სიამოვნება მივიღოთ. მაგალითად, ბრაზილიური დელეგაციის შეფმა **ანტონიო კარლოს ნუნეს დე ლიმამ** ბლატერი ასეთი სიტყვებით გააკრიტიკა: *„სამხრეთ აფრიკაში ექვსი საათის მერე გარეთ გასვლა აკრძალულია, თითქოს ომი იყოს! როგორ უნდა ვიზეიმოთ 2010 წელს?"*

და მაინც: რა პერსპექტივა აქვს სინამდვილეში სამხრეთ აფრიკას 2010 წელს? ფაქტი ერთია: გაისად, „ორი" ორი სხვადასხვა მენტალიტეტი ერთმანეთს უნდა შეერწყას. ერთ მხარეს დგას ფიფა, ბლატერის სწრაფვა სრულყოფილებისკენ და ევროპული თუ ამერიკული მედიის მუდმივი კრიტიკა, მუნდიალის მასპინძლის ნაკლოვანებების ძიება, მეორე მხარეს კი სამხრეთაფრიკელები დგანან და ეს ქვეყანა დარწმუნებულია იმაში, რომ სრულყოფილი მუნდიალის ჩატარება შეუძლია. ამასთან, სამხრეთ აფრიკას სურს, რომ დანარჩენმა მსოფლიომ აღიაროს.

*„სამხრეთაფრიკელთათვის ძალიან გულდასაწყვეტია, რომ სხვა ხალხები მათ არ ენდობიან,"* - ამბობს ბლატერი. გავიხსენოთ 2005 წელს, გერმანიაში ჩატარებული ტურნირის დროს მომხდარი ფაქტი, როცა ფრანკფურტში შუა თამაშის დროს სტადიონის სარწყავი სისტემა მწყობრიდან გამოვიდა და მოულოდნელად ჩაირთო. ასეთი რამ სამხრეთაფრიკაში რომ მომხდარიყო, უდიდესი უარყოფითი რეაქცია მოჰყვებოდა, გერმანიაში კი არანაირი დისკუსია არ გამოუწვევია. ამრიგად, სამხრეთი აფრიკა ფაქტობრივად ორმაგად მძიმე წნეხის ქვეშაა მოქცეული. ამ ქვეყანაში უბრალოდ ის სურთ, რომ სხვა ქვეყნების წარმომადგენლები მათ კულტურას მოერგონ და მაგალითად, საყვირ „ვუვუზელაზე" ამდენი არ ილაპარაკონ. ფაქტია, რომ მთელი საფეხბურთო სამყარო ტურნირის სტარტიდან ფინიშამდე „ვუვუზელაზე" ბჭობდა. ერთი მხრივ, აფრიკელებიც მართლები არიან, რადგან „ვუვუზელა" მათი კულტურის განუყოფელი ნაწილია და მეორე მხრივ, არც ევროპელები ვართ მტყუანნი, რადგან ამ პლასტმასის საყვირის ხმასთან შეგუება ძალიან გვიჭირს და არ გვინდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების დროს ეს ყურთასმენის წამღები ხმა გვესმოდეს.



ეს იყო, ტვინი რომ გახვრიტა...

სტადიონებზე ცუდი ატმოსფერო ნამდვილად არ სუფევდა. ერთი ეგაა, რომ ხანდახან, აფრიკელები გულშემატკივრების ცეკვა-თამაში არაადეკვატურ საქციელად გვეჩვენებოდა, სხვა მხრივ კი ყველაფერი ძალიან კარგად იყო. რაც მთავარია, ტურნირის მიმდინარეობისას აგრესია არავის გამოუვლენია. მატჩებს საშუალოდ 35 000 მაყურებელი ესწრებოდა, აღსანიშნავია ისიც, რომ 70 000 ბილეთი უფასო იყო. მასპინძლებმაც მოსალოდნელზე გაცილებით უკეთ ითამაშეს და მეოთხე ადგილზე გავიდნენ. იყო მცირე შეცდომები: სინათლის ჩაქრობა, მომსახურე პერსონალის დაბნეულობა და ა.შ, მაგრამ ეს ყველაფერი გამოსწორდება.

მიუხედავად ამისა, გენერალური რეპეტიციის წარმატებით ჩატარებაზე საუბარი მაინც უადგილოა, რადგან უპასუხო კითხვაც ბევრია. მაგალითად, აშკარად ჩავარდა სტუმრების ტრანსპორტირების საკითხი და არაერთხელ ითქვა, რომ ფანები თამაშებზე მისვლაც ვერ ასწრებდნენ ტაქსებისა და ავტობუსების გაუმართაობის თუ სხვა გაურკვეველი მიზეზების გამო. ჰოდა, იბადება კითხვა, რა იქნება გაისად, როცა სამხრეთ აფრიკაში არა 5000, არამედ 450 000 სტუმარი ჩავა? სად უნდა გაათიონ სტუმრებმა ღამე? ფაქტია, რომ სასტუმროებში ადგილები შეზღუდული იყო. მართალია, ერთ წელიწადში ამ პრობლემების გამოსწორებაც შეიძლება, მაგრამ ერთ ასპექტში ბლატერს არანაირი არგუმენტი არ აქვს და ეს არის უსაფრთხოება - რაც თავისთავად ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია.

სამხრეთ აფრიკაში დღეში საშუალო ხუთი მკვლელობა ხდება! ბლატერს შეუძლია, ილაპარაკოს ათასობით პოლიციელსა და უსაფრთხოების კამერებზე, რომლებიც სამხრეთ აფრიკის ქალაქების ქუჩებში დამონტაჟდა, მაგრამ სტატისტიკას მაინც ვერსად გაექცევა და ფაქტია, რომ ამიერიდან, სამხრეთ აფრიკაში მომხდარი თითოეული მკვლელობა მუნდიალზე უარყოფითად აისახება. საკმარისია, 2010 წელს ერთი ფანი, ფუნქციონერი ან რეპორტიორი დაიღუპოს, რომ ბლატერს სერიოზული პრობლემები შეექმნება. მუნდიალის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე **დანი ჟორდანი** ამბობს, ბლატერზე მეტი დასაკარგავი არავის არაფერი აქვსო...

რამდენს დაკარგავს ფიფას პრეზიდენტი, ამას 2010 წლის 11 ივლისს შევიტყობთ - ეს მომავალი მუნდიალის ფინალის თარიღია - მაგრამ ჩვენ იოზეფი და მისი დანაკარგები ოდნავადაც არ გვაღელვებს და მხოლოდ ორი რამ გვსურს: ვიხილოთ ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი, უნაკლო მუნდიალი და ოდნავადაც არ დაშავდეს არც ერთი მშვიდობიანი მოქალაქე, აღარაფერს ვამბობთ მსხვერპლზე.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

სატრანსფერო ჭორ-მართალი

# სილვას გადატვირთვა

მოუსვენარმა ესპანელმა გარემარბმა, **დავიდ სილვამ** განაცხადა, რომ „მესტალიაზე“ დარჩენა სურს. სხვა სიტყვებით, მას მადრიდის „რეალში“ გადასვლისა და **კაკასა** და **კრისტიანო რონალდოს** მხარდამხარ თამაშის პერსპექტივა არ ხიბლავს. სამხრეთ აფრიკიდან, სადაც კონფედერაციათა თასზე, ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში მესამე ადგილი დაიკავა, სილვა ვალენსიაში დაბრუნდა და როგორც ჩანს, იქიდან ფეხის გადგმას არც აპირებს.

საინტერესოა, რომ გამოჩნდა თუ არა აეროპორტის შენობაში, 23 წლის თავდამსხმელი მასზე კიდევ უფრო სხარტმა ჟურნალისტებმა კითხვებით დაბომბეს. ეტყობა, არავინ მიაქცია ყურადღება სილვას ამჟამინდელი კლუბის, „ვალენსიას“ ხელმძღვანელთა ცოტა ხნის წინანდელ განცხადებას, ეს ფეხბურთელი არ იყიდებაო. და, რაკილა შეფების სიტყვას ყური არავინ უგდო, ამომწურავი პასუხების გაცემა თავად ფეხბურთელს მოუხდა.

მავანი რეპორტიორის კითხვაზე, გაჰყვება თუ არა იგი **რაულ ალბიოლის** გზას „რეალისკენ“, სადაც „გალაქტიკოების“ მხარდამხარ თამაშის შანსი მიეცემა, სილვამ უპასუხა:

*„ჩემს გეგმებში კაკასა და კრისტიანო რონალდოს მხარდამხარ თამაში არ შედის. აქ, ვალენსიაში, თავს ბედნიერად ვგრძნობ და მხოლოდ ჩვენი გუნდის წარმატებაზე ვფიქრობ. „ვალენსია“ დიდი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული დიდი კლუბია. ახლა, ერთადერთი, რაც მინდა, ხანგრძლივი სეზონის შემდეგ დასვენებაა, რადგან, სეზონისწინა სამზადისი დაიწყება და მინდა იმ დროისთვის განტვირთული ვიყო“.*

„ვალენსია“ ახალი სეზონისთვის წვრთნას 20 ივლისს იწყებს, თუმცა რამდენიმე ფეხბურთელი, ისინი, ვინც ნაკრებში იყვნენ გამოძახებული - სილვა, **პაბლო ერნანდესი**, **ხუან მატა**, **კარლოს მარჩენა** და **დავიდ ვილია** (თუ „ვალენსიაში“ დარჩება) ივლისში დაისვენებენ.


დავიდ სილვა

სატრანსფერო ხლართები

# როცა მილიონები ცოტაა...

საოცარი რამ ხდება: 25 მილიონფუნტიანი გარიგება „მანჩესტერ სიტისა“ და „ბარსელონას“ შორის შეიძლება ჩაიშალოს, რადგან, ამ გარიგების მთავარი გმირი, კამერუნელი **სამუელ ეტოო**, როგორც ინგლისური პრესა წერს, ხარბი კაცი გამოდგა. რასაკვირველია, ეტოოს ესპანეთიდან ინგლისში შესაძლო ტრანფერის ისტორია ყველამ კარგად იცის: „მანჩესტერ სიტი“ „ბარსელონას“ 25 მილიონს სთავაზობს და თუ კლუბებს შორის გარიგება შედგება, ეტოო შეიქნება მსოფლიოს ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელი - ოთხი წლის განმავლობაში, პრემიერლიგურ კლუბში კვირაში 250 ათას ფუნტს მიიღებს. მაგრამ, დახეთ ეტოოს! კვირაში 250 ათასის გარდა მან საკონტრაქტო თანხა, 12,5 მილიონი ფუნტი მოითხოვა. მოგეხსენებათ, საკონტრაქტო თანხა არის ფული, რომელსაც კლუბი ფეხბურთელს ხელფასის გარდა, ხელშეკრულების დადებისას უხდის და თუ ფეხბურთელი კონტრაქტის პირობებს არ დაარღვევს, ეს თანხა მას რჩება.

ეტოოს აგენტი **ხოსეპ მარია მესალესი**: *„ამიერიდან, თუ ყველაფერი 180 გრადუსით არ შემოტრიალდა, ჩემი კლიენტი „ბარსელონაში“ დარჩება“.*

არადა, კატალონიური კლუბი მზად იყო ზემოთ აღწერილ გარიგებაზე წასულიყო, რადგან თუ ეტოოს ახლავე არ გაყიდის, მაშინ ან ახალი კონტრაქტი უნდა გაუფორმოს ან კამერუნელი გაისად, ამ დროს, თავისუფალი აგენტის სტატუსით ისე წაუვა, რომ კაპიკსაც არ დაუტოვებს.

როგორც ინგლისური „სანი“ ამბობს, ეტოომაც სწორედ ეს იგრძნო - ერთი მხრივ, „ბარსელონა“ მის გაშვებას არ აპირებს, მეორე მხრივ კი „მანჩესტერ სიტის“ ძალიან უნდა მისი ყიდვა, რაც მას ვინმესთვის კიდევ უფრო მეტი ფულის გამოძალვის საშუალებას აძლევს... თეორიულად მაინც.

რას გააკეთებს „მანჩესტერ სიტი“, უფრო სწორად, რას გადაწყვეტენ მისი არაბი მეპატრონეები, ჯერ ცნობილი არ არის. სამაგიეროდ ცნობილია, რომ „სიტის“ ბრაზილიელი ფეხბურთელი **ელანო** მანჩესტერში დაბრუნების შემდეგ გუნდის შეფებთან თავის წილ ფულზე აპირებს დალაპარაკებას - მისი შეძენა მილანის „ინტერს“ სურს და ეს ეტოოსი არ იყოს, მასაც აძლევს მაზანდის გაზრდის საშუალებას.


რას დახარბდა სამუელ ეტოო...

ფეხბურთელის ცხოვრება



რობინ ვან პერსი

# ნაჯდომი მამიკო რობინი

უი, „არსენალს“ ოთხწლიანი წარუმატებლობის დასაძლევად მზა წამალი ჰქონია და არ ვიცოდით - **ბარაკ ობამა!** დიახ, ამერიკის პრეზიდენტი **არსენ ვენგერის** ეგრეთ წოდებულ გუნდურ საუბრებში, თურმე სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს, ხოლო მონუსხული **რობინ ვან პერსი** ყველა ღონეს ხმარობს, რათა მისი მანერები გადმოიღოს.

ასე და ამგვარად, შეუძლია „არსენალს“ მომავალ სეზონში გახდეს პრემიერლიგის ჩემპიონი? როგორც ბარაკ ობამა იტყოდა: „დიახ, შეუძლია“. ვან პერსი კი სულმოუთქმელად კითხულობს მის ბიოგრაფიას და აცხადებს:

*„მინდა ამ კაცის შესახებ რაც შეიძლება მეტი გავიგო. ობამა შესაშურად მშვიდი ადამიანია. როდესაც მისი კონკურენტი, ჯონ მაკკეინი ყვიროდა, ის სრულ წონასწორობას ინარჩუნებდა. მეც ასეთი მინდა ვიყო. ვინმე ჩემს პროვოკაციაზე წამოგებას რომ ცდილობს, ყველა ღონეს ვხმარობ, არ წამოვეგო. ეს საუკეთესო პოლიტიკაა და ჩვენი მწვრთნელი, არსენ ვენგერიც გუნდში ობამას „დიახ, ჩვენ შეგვიძლიას“ მენტალიტეტის დანერგვას ცდილობს. გამორცხული ამქვეყნად არაფერია. განა, რამდენიმე წლის წინ ვინმე იფიქრებდა, რომ ამერიკის პრეზიდენტი შავკანიანი გახდებოდა? ზუსტად ასეა, დღეს „არსენალში“ ჩვენი ბიუჯეტის გადამკიდე არავის ჰგონია, რომ ჩემპიონები გავხდებით“.*

თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ. ფეხბურთის ასოციაციის 2005 წლის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძლევის შემდეგ „არსენალს“ არანაირი ტიტული არ მოუპოვებია. როგორც ირკვევა, გამოსავალს ვენგერი ობამას მენტალიტეტის დანერგვაში ხედავს:

*„ვენგერს სპორტის სხვა სახეობები და სხვა დარგის ლიდერებიც აინტერესებს, - ამბობს ვან პერსი, - მატჩისწინა თათბირზე მას აუცილებლად მოჰყავს ციტატა რომელიმე ლიდერის ნათქვამებიდან. ეს ხან ობამას ციტატაა, ხან კალათბურთის ვარსკვლავის მაიკლ ჯორდანის, ხან ვისი და ხან ვისი. კიდევ, ვენგერს ზედმეტობები სძულს. მაგალითად, სტუმრად ჩვენ ყოველთვის ჩვეულებრივი თვითმფრინავით დავფრინავთ, მდიდრულში არასდროს ვსხდებით. სასტუმროში არ გვართვევინებს კონდიციონერს, იმიტომ, რომ ეს სპორტსმენისთვის ცუდია. მეტიც, ნომრებში მაცივრები არ გვაქვს - ნებისმიერი სასმელი ოთახის ტემპერატურისაა. ცივი სასმელი ჯანმრთელობას ვნებს. ეს ყველაფერი ისეთი წვრილმანია, რომელიც ერთპროცენტიან შედეგს თუ იძლევა, მაგრამ თამაშის დროს ამ ერთპროცენტიანი უპირატესობის მოპოვება ხშირად მეტისმეტად ძნელია“.*

25 წლის ვან პერსისთვის ბოლო ოთხი წელიწადი ძნელი გადასატანი გამოდგა. დიახ, მას შინ აქვს ფოტო, რომელზეც ფეხბურთის ასოციაციის თასით დგას, მაგრამ პრემიერლიგა? ჩემპიონთა ლიგა?

თუმცა, ის არსად აპირებს წასვლას და მისი ჩრდილოლონდონური სახლი, სადაც მეუღლესთან, **ბუჩრასთან** და ორი წლის ბიჭთან, **შაკილთან** ერთად ცხოვრობს, ერთგვარ სალოცავ ადგილად აქვს ქცეული. კერძოდ, რას ვგულისხმობთ? სინათლის ჩამრთველის გვერდით ძველისძველი, გაცვეთილი ბუცები კიდია, ჩარჩოში ჩასმული საფეხბურთო სურათებით მთელი კედელი მოჭედილია. იქვე კიდია „არსენალის“ საბავშვო მაისურა ზურგზე წარწერით - Papa, ანუ მამიკო. რას არ ნახავთ ვან პირსის ოთახში, **მარადონას** პლაკატს, ამოჭრილ და მოწესრიგებულად ჩალაგებულ საგაზეთო სტატიებს, საკუთრივ სახლის პატრონის პლაკატს. და გვერდით ოთახში რა ხდება? იქ, კედლებზე სამოცზე მეტი მაისურაა. ზოგი თანაგუნდელს გამოართვა, უმრავლესობა კი მატჩის შემდეგ მეტოქეს გაუცვალა. აი, **კრისტიანო რონალდოსი**, აი, **კაკასი...** ეს ორი ფეხბურთელი დღეს მსოფლიოს საუკეთესოთა შორის არიან. ვან პერსისაც ძალიან უნდა თავადაც გახდეს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო.

*„მეც მინდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გავხდე, - არ მალავს ჰოლანდიელი, - ყოველი თამაშის შემდეგ, შინ, ჩანაწერს ვაკეთებ. საკუთარ თავს ვაფასებ, შემდეგ კი ჩაძინება მიჭირს. ყველა თამაშს დაწვრილებით ვსწავლობ. საკუთარი თავის ყველაზე დიდი კრიტიკოსი თავად გახლავართ. ცხოვრებაში ერთხელაც კი არ მითამაშია იმ დონეზე, რომ დამაკმაყოფილოს. მე რომ მართლა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ვიყო, გამოკითხვათა ლაურეატი გავხდებოდი ან ტიტულები მექნებოდა მოპოვებული. ჩვენს გუნდს, პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგა რომ ჰქონდეს მოგებული, ალბათ მეც ვიქნებოდი ნომინანტი წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზზე. აი, მხოლოდ მაშინ ვიტყოდი, რომ მწვერვალს მივაღწიე, მაგრამ მანამდე ჯერ შორია. კიდევ კარგი, „არსენალის“ პოტენციალს ვხედავ, თორემ რა გამაძლებინებდა. წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა, ხუთი წელიწადია „არსენალში“ ვარ და იმდენივე ჯილდო მოვიპოვე, რამდენიც მანამდე, „ფეიენოორდში“ - ერთი. არადა, მე რომ აქ ჩამოვედი, ეს გუნდი ჯილდოებს თამაშ-თამაშ იგებდა. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თუ ყველა ჯანმრთელად გვეყოლება, ჩვენ ისეთი შემადგენლობა გვყავს, რომ ტიტულების მოხვეჭას დავიწყებთ“.*

ცნობილია, არსენ ვენგერს ძალიან უნდა ვან პერსიმ „არსენალთან“ ახალი კონტრაქტი რომ გააფორმოს. იმავე ჭკუაზეა ჰოლანდიელიც:

*„არც ერთ სხვა კლუბთან მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებ. მხოლოდ „არსენალთან“. და, როგორც უკვე გითხარით, მინდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გავხდე. მხოლოდ ამის მერე მოვისვენებ“.*

მიზნის მისაღწევად ვან პერსიმ თავის ვარჯიშებს კვირაში ერთხელ იოგა დაამატა, კვების რაციონიდან კი ეგრეთ წოდებული, წითელი ხორცი და ალკოჰოლი ამოიღო. „ფეიენოორდში“ რომ თამაშობდა, „მაკდონალდსის“ ხშირი სტუმარი გახლდათ და ყავასაც ბლომად სვამდა.

*„საცოლე პირველად რომელიმე დახვეწილ რესტორანში კი არ დავპატიჟე, მაკდონალდსში წავიყვანე. ჩვენ რამდენიმე ბურგერი ავიღეთ და მანქანაში ვჭამეთ, - იგონებს ვან პერსი, რომელიც დღეს თავს განსაკუთრებით უფრთხილდება, - ჩემთვის ჯანმრთელობა ძალიან მნიშვნელოვანია. სეზონი ისე არ გავა, ერთი-ორი ტრავმა არ მივიღო და ვხვდები, რომ მათ მკურნალობას, მათი თავიდან აცილება ჯობს. ძალიან ხშირად, ფეხბურთელები ისე ვარჯიშობენ, რომ არ აკვირდებიან ზოგადად რა სჯობს მათთვის და რა არა. მე კი ყველასგან ყველაფერს დაწვრილებით ვიკვლევ. ვეკითხები ფიზიოთერაპევტებს, ქირურგებს, ოსტეოპატიებს... ხშირად, თამაშის მერე კუნთი მეკვანძება. ოსტეოპათმა მირჩია, ხორცისთვის დამენებებინა თავი. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ შემწვარი ხორცი მიყვარს, აღარ ვჭამ და შედეგი მაშინვე ვიგრძენი. კიდევ, სეზონის განმავლობაში სხეულს ალკოჰოლით არ ვინამლავ. ვიცი, ინგლისში ბიჭებს ლუდის სმა უყვართ, მაგრამ თუ დააკვირდებით, ხუთი წლის შემდეგ ისინი სისწრაფეს კარგავენ“.*

დაბოლოს, ვან პერსის სრულყოფილი სურათის დასახატად იმის თქმაა საჭირო, რომ განსხვავებით „ფეიენოორდის“ წლებისგან, ახლა ის მოწესრიგებული და ჭკუადამჯდარი ადამიანია. მოედანზე ისეთ რალაცებს აღარ სჩადის, 2005 წელს საუთჰემპტონელ **გრემ ლე სოს** კინალამ ფეხი რომ მოტეხა და წითელი ბარათი მიიღო. აღარც ოთხი წლის წინანდელივით იქცევა, კინალამ ოჯახი რომ დაენგრა. აბა, რა იქნებოდა, ბარის მოცეკვავემ გაუპატიურებაში დასდო ბრალი და რობინმა, სანამ ყველაფერი გაირკვეოდა, ორი კვირა, გისოსებს მიღმაც კი გაატარა.

*„იმ თავგადასავალმა ჭკუა მასწავლა და ჩვენი ოჯახი კიდევ უფრო გააძლიერა, - უთხრა ვან პერსიმ, ჰოლანდიურ ჟურნალ „ჰიროუს“, - ციხეში ცუდად არავინ მომპყრობია. ერთი ტიპი ცდილობდა აგრესიული ყოფილიყო, მაგრამ სხვები ეუბნებოდნენ, რომ უდანაშაულო ვიყავი“.*

რობინის მეუღლე ბუჩრა: *„მაშინ რობინმა დიდი შეცდომა დაუშვა. იმდენად დიდი, რომ ჩემთვის ყველაზე ადვილი გამოსავალი ფეხის დაკვრა და მისი მიტოვება იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოვიქეცი. რობინი შესაძლოა სულელი იყო, მაგრამ მოძალადე ვერ იქნებოდა. მახსოვს დედაჩემის სიტყვები, ფეხბურთელს ცოლად არ გაჰყვე, არასერიოზული ხალხიაო. დღეს ჩემს ოჯახს რობინი ძალიან უყვარს. აი, რაც შეეხება ფეხბურთს, მოედანზე ფეხის შედგმის წამიდან გამოსვლამდე, ის სხვა ადამიანი ხდება. შინ კი, ის ჩვენი Papa რობინია“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ამბები

## ლონდონური აპელაცია

„ჩელსის“ ფეხბურთელების, **დიდიე დროგბასა და ჟოზე ბოსინგვას** ამბავი გეხსომებათ: ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში (0:0, 1:1) ლონდონელები „ბარსელონას“ შეხვდნენ. საპასუხო შეხვედრაში კატალონიელთა კართან ოთხი საპენალტე სიტუაცია შეიქმნა, რომელთაგან, ნორვეგიელმა მსაჯმა **ტომ ჰენინგ ოვრებომ** ოთხივე კატალონიელთა სასარგებლოდ შეაფასა - თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა. ამან „ლურჯები“, განსაკუთრებით კი კოტდივუარელი და პორტუგალიელი, რბილად რომ ვთქვათ, ალაშფოთა, რასაც პირველისგან ტელეკამერების წინ მსაჯის ხანგრძლივი „შემკობა“ მოჰყვა, მეორისგან კი მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მწარე კომენტარი. ფეხბურთელების ასეთ ქცევას უეფა უყურადღებოდ ვერ დატოვებდა და მკაცრმა ვერდიქტმაც არ დააყოვნა - დროგბა ექვსთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, ბოსინგვა კი - ოთხთამაშიანით. მართალია, სასჯელში შემარბილებელი პუნქტებიც არის შეტანილი, კერძოდ კი თუ ორი წლის განმავლობაში კარგად მოიქცევიან, დროგბას ორ თამაშს აპატიებენ, ბოსინგვას კი ერთს, მაგრამ „ჩელსიმ“ ეს პუნქტები არ იკმარა და აპელაცია დაწერა.

*„ფაქტია, რომ მოცემულ ვითარებაში ფეხბურთელების ასე დასჯა გადამეტებულად მკაცრია. გვინდა გავიმეოროთ, რომ „ჩელსი“ და მისი ფეხბურთელები ყოველთვის კარგად აცნობიერებდნენ თავიანთ მნიშვნელობას ახალგაზრდებისთვის მაგალითის მიცემის საქმეში“,* - ეწერა კლუბის ვებგვერდზე.

ლონდონელებმა ფულადი ჯარიმა, 100 ათასი ევროც გაასაჩივრეს. ვნახოთ, საჩივარს რა მოჰყვება.

## ბოლო სეზონი

**ედვინ ვან დერ სარი** ფეხბურთის თამაშს თავს გაისად ამ დროს, ერთი სეზონის შემდეგ დაანებებს. „მანჩესტერ იუნაიტედის“ 38 წლის მეკარეს თავისი გეგმების შესახებ მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ულაპარაკია. ახლა, ჰოლანდიელი მეკარე მანჩესტერელთა მწვრთნელის, სერ **ალექს ფერგიუსონის** შვებულებიდან დაბრუნებას ელოდება, რათა ისიც ჩააყენოს საქმის კურსში.

და, რა მოხდება „იუნაიტედში“ ვან დერ სარის წასვლის შემდეგ? დიდი შანსია, ბოლოს და ბოლოს, ბედმა 26 წლის **ბენ ფოსტერს** გაუღიმოს, თუმცა დიდი კლუბებისას რას გაიგებ, შესაძლოა ინგლისის ჩემპიონი საკუთარ სათადარიგო მეკარეს არც ენდოს და ახალი გოლკიპერის ძებნა გარეთ დაიწყოს.

„იუნაიტედთან“ დაკავშირებულმა ადამიანმა ინგლისურ ტაბლოიდებს უამბო: *„ედვინი თავის შესაძლებლობებს ყოველი სეზონის შემდეგ აფასებს და ფიქრობს, რომ ამჯერად ნამდვილად დაანებებს ფეხბურთის თამაშს თავს. მისი მიზანი ყოველთვის უმაღლეს დონეზე თამაშია“.*

შეგახსენებთ, რომ ვან დერ სარს კარიერაში ბევრ დიდ გუნდში უთამაშია. თავიდან ეს იყო „აიაქსი“, შემდეგ „იუვენტუსი“, რასაც ცოტა ხნით „ფულჰემი“ მოჰყვა და აი, ბოლო ოთხი წელიწადია ის „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარს იცავს.

ედვინ ვარ დერ სარი გახლავთ უეფას თასის, ჩემპიონთა ლიგის, საკონტინენტთაშორისო თასის გამარჯვებული და სხვა უამრავი გუნდური თუ ინდივიდუალური ჯილდოს მფლობელი.





კლუბები. სან პაულუ

# ესკადრილია 633

შემდეგი აბზაცის განმარტება: „სან პაულუს“ ეროვნული ჩემპიონატი ექვსჯერ აქვს მოგებული, სამჯერ „ლიბერტადორესის თასზე“ გაიმარჯვა და სამჯერაც კლუბთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა...

ჰოდა, ყიდის და ყიდის „სან პაულუს“ ფეხბურთის კლუბი მაისურებს გულზე გამოსახული 633-ით. ჯილდოების რაოდენობით ბრაზილიაში ტოლს ვერავინ უდებს, ის კი არა, სამხრეთ ამერიკის უდიდესი ქალაქის ელიტური კლუბი, „ესკადრილია 633“, სადაცაა მთელი კონტინენტის ფლაგმანი გახდება. ამასთან, იგი გამოირჩევა იმითაც, რომ ქალაქის დერბი არ ეხება - სან პაულუს დერბი სხვაა, დერბიში უბრალო ხალხის საყვარელი „კორინთიანსი“ იტალიური დიასპორის „პალმეირასს“ ებრძვის.

საერთოდ, „სან პაულუ“ შედარებით გვიან შეიქმნა, 1930 წელს, ორი კლუბის გაერთიანების შედეგად. ახალშობილი მალევე წააწყდა ფინანსურ სიძნელეებს, რის გამოც 1935-ში თავიდან მოუხდა დაფუძნება, უკვე დღევანდელი სახელით. იმ დროისათვის ქალაქის სხვა გუნდები უკვე 20-წლიან ისტორიას ითვლიდნენ. მაგრამ, ახლებმა ჩამორჩენის ალმოფხვრა ხელადვე დაიწყეს. თავის დასამკვიდრებლად ათწლეულების განმავლობაში ერთსა და იმავე პოლიტიკას მისდევდნენ - კარიერის დაისზე მყოფ დიდ ფეხბურთელებს ყიდულობდნენ. მაგალითად, ადრეულ 1930-იანებში გუნდში ბრაზილიური ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი პიონერი, ვეტერანი არტურ ფრიდენრაიხი თამაშობდა. თუმცა, „სან პაულუსთვის“ ნამდვილი ბიძგი 1942 წელს ლეონიდასის შეძენა გახლდათ.



სან პაულუს ლეგენდა ლეონიდასი აკრობატულ ნახტომში

## ძვირფასი ნაგავი

მართალია, **ლეონიდასი**, ანუ „რეზინის კაცი“, 1938 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ, მაგრამ წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო, ხშირად კანონთან ჰქონდა პრობლემა. მეტსახელად „ძვირფასი ნაგავიც“ კი შეარქვეს, თუმცა, ამის მიუხედავად, ბრაზილიური ფეხბურთის ერთ-ერთი უდიადესი ხანა სწორედ მასთან არის დაკავშირებული და ეს მის „სან პაულუში“ გამოჩენას უკავშირდება. რადიოკომენტატორი ჟერალდო დე ალმეიდა დაუსრულებლად, სულ მეტი და მეტი აღფრთოვანებით იმეორებდა დაახლოებით ერთსა და იმავეს: *„ძვირფასმა ნაგავმა“ მაკრატელა გოლი შეაგდო“*. ლეონიდასმა „სან პაულუს“ 1943-1949 წლებში ხუთჯერ მოაგებინა შტატის ჩემპიონის ტიტული.

შემდეგი ათწლეულის ბოლოს კი გუნდში 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვარსკვლავი, **ზიზინიო** გადავიდა. 1960-იან წლებში სანპაულუელთა ვარსკვლავი ცენტრალური მცველი ბელინი გახლდათ, ბრაზილიის 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრების კაპიტანი, ხოლო 1970-იანი წლების დასაწყისში აქ, სამი წლით **გერსონმაც** გააგორა ბურთი.

მაგრამ, ასაკოვანი ვარსკვლავები გუნდის ხანგრძლივ აყვავებას ვერ უზრუნველყოფდნენ, არადა „სან პაულუ“ დიდ წარმატებებს გეგმავდა. 1952 წელს დაიწყო „მარუმბის“ ვეებერთელა სტადიონის მშენებლობა, რომლის გახსნის ცერემონიალიც 1960 წელს გაიმართა, თუმცა საბოლოო სახე ნაგებობამ ათი წლის შემდეგ მიიღო - და „სან პაულუ“ იქცა იმ ამაყ კლუბად, რომელსაც კერძო საკუთრებაში მსოფლიოში უდიადესი სტადიონი ჰქონდა. განმარტებისთვის: „მარუმბიზე“ დიდი სტადიონები კერძონი აღარ იყვნენ. ნაგებობა ოდესღაც 100 000 ქომაგს მასპინძლობდა, თუმცა ამჯერად 69 ათასს იტევს.

დღეს, „მარუმბის“ ეტყობა, რომ სხვა ეპოქიდანაა, მაყურებელი მოედნიდან შორს ზის, თუმცა, „სან პაულუ“ ისე გადაეფოფრა, რომ, როგორც ჩანს, მასზე 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებს მაინც გამართავენ. თან, კლუბმა მიაღწია, რომ პროექტში სტადიონის გადახურვა და შორიახლოს მეტროს სადგურის აშენებაც შეატანინა.





ტელე სანტანა

კლუბი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა სტადიონიდან მაქსიმალური სარგებელი მიიღოს. ნაგებობას აქირავებენ ნაირ-ნაირი შოუებისთვის და, სხვათა შორის, „სან პაულუ“ გახლდათ პირველი, ვინც ტრიბუნებზე კერძო ლოჟები და სპეცსექტორები შემოიღო. ამჟამად „მარუმბი“ მოიცავს უამრავ მაღაზიას, ბარს, კინოთეატრს, რესტორანს და ასე განსაჯეთ, ენის შესასწავლ სკოლასაც კი. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კლუბმა სტადიონიდან მიღებული შემოსავალი 400-ჯერ გაზარდა.

1957-70 წლებში გუნდს არანაირი ტიტული არ მოუგია, მაგრამ ეს „მორუმბის“ მშენებლობის საფასურად აღიქვეს - თქვეს, რომ კლუბის ყველა რესურსი სტადიონის მშენებლობისკენ იყო მიმართული. 1980-იანებში კი გაიხსნა საწვრთნელი ცენტრი - სხვათა შორის, ბაზა ბრაზილიაში ისეთი რამ არის, რაც ბევრ კლუბს ჯერ კიდევ არ აქვს - რომელმაც 1990-იანი წლების დიდებულ წარმატებებს ჩაუყარა საფუძველი. ამ წლებში **ტელე სანტანას** ხელმძღვანელობით „სან პაულუმ“ ჩინებული ფეხბურთი აჩვენა, ორჯერ „ლიბერტადორესის თასი“ მოიგო და ორივე წარმატებას ზედ ტოკიოში, ჯერ „ბარსელონას“, შემდეგ კი „მილანის“ ძლევა დაურთო.

შემდეგ კი, კარგი დროება დასრულდა, რისი მიზეზიც მხოლოდ სანტანას ავადმყოფობა და გადადგომა კი არა, ისიც გახლდათ, რომ კლუბ „მორუმბის“ ძლიერ მოერყა ბეტონი და რეკონსტრუქციამ ფული მოითხოვა. აუცილებელი შეიქნა სტრუქტურული ცვლილებებიც. შედეგად, 2003-ში, „სან პაულუმ“ გახსნა ახალი სამედიცინო ცენტრი, REFFIS-ი. იგი დაშავებულ ფეხბურთელთა სწრაფი რეაბილიტაციისთვის ააგეს და ისე გაამართლა, რომ მასში სამკურნალოდ ევროპაში მოთამაშე ბრაზილიელებიც კი ჩამოდიან. მორიგი ნაბიჯი ქალაქიდან 20 მილში, კოტიაში ახალი საწვრთნელი ცენტრის იყო. ამ ცენტრში ყმაწვილ ფეხბურთელებს არა მხოლოდ წვრთნიან, აცხოვრებენ კიდეც. *„ევროპული კლუბები ჩვენს ფეხბურთელებს ყიდულობენ და ფულს გვიხდიან“* - ამბობს პრეზიდენტი **ჟუვენსიუ**. კლუბის მიერ გაყიდულ მოთამაშეთა შორის არიან **კაკა**, ორი **დენილსონი, ბორდონი, ედმილსონი, ფაბიო სიმპლისიო, ფაბიო აურელიუ, ჟულიუ ბაპტისტა, ბრენო** და სხვები, რომელთაც „სან პაულუს“ ხაზინაში ასე საჭირო თანხები მოიტანეს.

## უორნერის ხელშეკრულება

თუმცა, პოლიტიკა იცვლება. კერძოდ, გასულ წელს „სან პაულუ“ უკვე ისე გამდიდრდა, რომ „ბარსელონას“ ნახევარმცველის, ერნანესის მიყიდვაზე უარი უთხრა. ჩანს, რომ კლუბი ხაზინის მარკეტინგით შევსებაზე უფრო გადასული. ამის დასტური „სან პაულუსა“ და ამერიკული გიგანტის, „უორნერის“ მიერ ლიცენზირებული პროდუქტის წარმოებაზე დადებული ხელშეკრულება გახლდათ. გეგმის თანახმად, გაისად კლუბს ბალანსის შესავსებად ფეხბურთელების გაყიდვა საერთოდ აღარ უნდა დასჭირდეს.

აქამდე კი მთავარი კონტინენტური მეტოქის, არგენტინული „ბოკა ხუნიორსის“ მეთოდით, „სან პაულუ“ საუკეთესო ვარსკვლავებს ზრდიდა და ევროპაში ყიდდა, ხოლო თავად იტოვებდა კარგ და საშუალო მოთამაშეებს, რომლებიც კოლექტიური ფეხბურთის წყალობით მეტოქეებს კონკურენციას უწევდნენ. ასე მაგალითად, გუნდში, რომელმაც დეკემბერში მეექვსედ მოიგო ბრაზილიის ჩემპიონის ტიტული (რაც მისი ზედიზედ მესამე წარმატება გახლდათ) მხოლოდ სამი ადგილობრივი ფეხბურთელი თამაშობდა - თილისმად ქცეული მეკარე **როჟერიო სენი, ერნანესი** და ნახევარდაცვაში მისი იმედისმომცემი პარტნიორი **ჟეანი**. დანარჩენები მოყვანილნი გახლდნენ. ისინი იყვნენ ფეხბურთელები, რომელთაც ან ევროპაში ვერ გამოიჩინეს თავი, ან სხვა ბრაზილიური კლუბებიდან იაფად ჩაუვარდა ხელში სან პაულუს.

და ისევ, ეს „სან პაულუსთვის“ ჩვეულებრივი ამბავია. მაშინ, როცა სხვა კლუბებმა თავისუფალი კონტრაქტის წესს წუწუნით უპასუხეს, „სან პაულუმ“ მას ალლო აულო და თავის სასარგებლოდ გამოიყენა - მან მტვერსასრუტივით შეიწოვა ყველა ფეხბურთელი, ვინც თავისუფალი აგენტი გახდა ან სადაცაა უნდა გამხდარიყო.

## მწვრთნელთა მუდმივობა

„სან პაულუ“ ფეხბურთელებსაც გრძელვადიან კონტრაქტებს უფორმებს და მწვრთნელთა შტაბსაც უფრთხილდება. ასე მაგალითად, **მურისი რამალიუ** ოთხ წელიწადს წვრთნიდა გუნდს, რაც უპრეცედენტო რამ იყო, ზედიზედ სამი ჩემპიონობაც უთუოდ ამ „მუდმივობის“ შედეგია. არადა, იყო მომენტები, განსაკუთრებით ბოლო ორი „ლიბერტადორესიდან“ გამოვარდნის შემდეგ, როდესაც „სან პაულუს“ ადგილას სხვა გუნდები მას თანამდებობიდან გაუშვებდნენ. თუმცა კლუბმა „თავის კაცს“ კარგა ხანს უერთგულა, 2009 წლიდან კი გუნდი **რიკარდო გომეშის** ხელშია...

მაგრამ ვინც უნდა იყოს „სან პაულუს“ მწვრთნელი, მას მხოლოდ ერთი ასისტენტის მიყვანის უფლებას აძლევენ. შტაბის დანარჩენი ნაწილი კლუბს ეკუთვნის. და მართალია, ახალი ფეხბურთელის ყიდვისას მწვრთნელისა და მისი თანაშემწეების აზრს პატივს სცემენ, საბოლოო სიტყვა დირექტორებს ეკუთვნით. აქ, ორგანიზაციას ყოველთვის პიროვნებაზე მაღლა აყენებენ.

ამრიგად, კლუბი კარგად არის ორგანიზებული, წარმატებულია, წარმატება კი გულშემატკივარს იზიდავს. მხარდამჭერთა რაოდენობა იზრდება და იზრდება. აქაოდა, გულშემატკივრები ელიტიდან ჰყავსო, სხვა გუნდების ფანები „სან პაულუს! ხშირად „ბემბის“ ეძახდნენ, მაგრამ ამ ბოლო დროს „სან პაულუმ“ ქალაქის ღარიბთა უბნებშიც შეაღწია გულშემატკივართაგან თვით „კორინთიანსი“ გაძარცვა.

სტატისტიკა, რომლის მოყვანაც ასე უყვარს კლუბის მარკეტინგულ საქმეთა დირექტორ **ჟულიო კასარეშს**, ასეთია: 20 პროცენტი იმ მამებისა, რომელთაც შვილები „სან პაულუს“ ქომაგებად გაზარდეს, თავად „კორინთიანსის“ ქომაგთა შვილები იყვნენ. და კლუბი ყველა ღონეს ხმარობს, რათა უზარმაზარ ქვეყანაში თავის გულშემატკივართა რაოდენობა გაზარდოს. „ესკადრილია 633“ კიდევ უფრო მაღლა აპირებს აფრენას.

გვერდი მოამზადა
**ლუკა სიხარულიძემ**

ჭიდაობა

# თბილისი ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს მასპინძლობს






ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

## კარგად დაიწყო...

გუშინ, თბილისის სპორტის სასახლეში გოგოების ტურნირით გაიხსნა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ჭიდაობაში. იქნებ კულისებში ზოგი რამ ბოლო წუთებზე გასწორდა, იქნებ სადღაც რაღაც ხარვეზიც იყო, მაგრამ პირველი დღის შთაბეჭდილებებით, ორგანიზატორებმა საქმეს თავი კარგად გაართვეს და ზემდგომებს ნორმალურად ორგანიზებული ჩემპიონატი დაახვედრეს. სიმართლე გითხრათ, გუშინდელი და დღევანდელი დღისგან სპორტულზე მეტად სწორედ საორგანიზაციო საკითხები მაინტერესებდა, რადგან გოგოები ჭიდაობენ, სადაც მონაწილე არ გვყავს. ამ ჩემპიონატის კარგად ჩატარებაზე რაოდენ ბევრია დამოკიდებული, წინა წერილებში ვწერდით და ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, თუმცა სათქმელი და ასახსნელი ბევრიც არაფერია, იმდენად მარტივი საკითხია. რაც გუშინ ვნახეთ, ნამდვილად შეიძლება იმის თქმა, რომ ჩემპიონატი დადებითად ჩაგვეთვლება, რაც კარგი წინაპირობაა საიმისოდ, ევროპისა და მსოფლიო პირველობები მომავალშიც რომ გვეღირსოს. თანაც, არა მხოლოდ ახალგაზრდებში, არამედ უფროსებშიც. მსგავს ტურნირებს, რაც უფრო ხშირად ჩავატარებთ, საორგანიზაციო საკითხების მოგვარებასაც მით სწრაფად ვისწავლით და ყოველი მომდევნო ტურნირიც წინაზე უკეთესი იქნება. თუმცა ურიგო არც ახლანდელს ეთქმის. უშუალოდ არენაზეც და მთლიანად შენობაშიც ყველაფერი იმდენად მოწესრიგებულია, ისე დეტალურადაა მითითებული მისასვლელები, თურმე დილით უცხოელთა რამდენიმე გუნდმა სპორტის სასახლეში თავისით გაიკვლია გზა. ცოტა არ იყოს და ქართული ხასიათისთვის „მიულებელი" ასეთი წესრიგით ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებიც გაოცებულან და მასპინძლებისთვის მადლობაც გადაუხდიათ. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ტურნირს ჩინმაღალი სტუმრებიც ბლომად ესწრებიან - ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) პრეზიდენტი, შვეიცარიელი **რაფაელ მარტინეტი**; ევროპის ჭიდაობის ასოციაციის პრეზიდენტი, ბულგარელი **ცენიო ცენევი**, ბლომად არიან ეროვნული ფედერაციების პრეზიდენტები...

კიდევ ვიმეორებთ - პატარ-პატარა ხარვეზები იქნებ კიდეც იყო და ბევრი რამ ბოლო წამებზე გასწორდა, მაგრამ ეს ყველაფერი კულისებში ხდებოდა, თავად არენაზე კი შესაშური წესრიგი სუფევდა. იმედია, ორგანიზატორები საქმეს მომდევნო დღეებშიც ასე კარგად გაართმევენ თავს, როცა ჩემპიონატში უკვე ვაჟები ჩაებმებიან და დარბაზში მაყურებელიც საგრძნობლად მოიმატებს.

სასაცილოა, რომ მთავარი დასამჩნევი ხარვეზი, რაც შეიძლება ჭიდაობის ქომაგმა შეამჩნიოს, არა ჩვენების, არამედ FILA-ს ტექნიკური ჯგუფის ბრალია - ჩემპიონატის ოფიციალური საიტი ოპერატიულობაში ცოტა მოიკოჭლებს, რაც ევროპელთა უგერგილობის შედეგია. საიტზე მონაცემების შეტანა მათი პრეროგატივაა.

გუშინდელი დღის მიხედვით, ორგანიზატორთა უცნაურმა ჩანაფიქრმაც გაამართლა, როცა 30 ივნისს დასაწყები ტურნირის გახსნის ცერემონიალი 2 ივლისისთვის გადაიტანეს - გოგოების ჭიდაობამ მაყურებელი მართლაც ვერ მიიზიდა და გუშინ სპორტსმენებმა ლამის ცარიელ დარბაზში იჭიდავეს. სპორტის სასახლეში მეტ-ნაკლებად შევსებული ორი სექტორი იყო - ვიპ-ლოჟა (მოწვეული სტუმრების ხარჯზე) და მის მოპირდაპირედ, სამხრეთი ტრიბუნის ცენტრალური სექტორი, სადაც ძირითადად სპორტსმენები ისხდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, გუშინ დარბაზში რიგით ქომაგებს მოჭიდავეების და გუნდების წარმომადგენლები სჭარბობდნენ.

ქალთა ტურნირში 27 გუნდი გამოდის, მთლიანად ჩემპიონატში კი 35-მდე ქვეყანას ელოდებიან. ჩემპიონატის სპორტულ მხარეს რაც შეეხება, პირველმა დღემ რუსთა უპირატესობით ჩაიარა, რაც მოულოდნელი არც იყო - ოთხიდან სამი ოქრო მათ მოიპოვეს, თუმცა უმედლოდ არც რუსთა მეოთხე მონაწილე დარჩენილა, რომელმაც ბრინჯაო დაისაკუთრა. გუშინდელი დღის სანახაობრივ მხარეს რაც შეეხება, ის ზოგადად, თანამედროვე ჭიდაობის ანარეკლია და ძირითადად ულიმღამო შეხვედრები ვიხილეთ. ცხადია, იყო ლამაზი ორთაბრძოლებიც, მაგრამ, მთლიანობაში, გუშინ რაც ვნახეთ, ლამაზს ვერ უწოდებ. თუმცა დღის ბოლო შეხვედრა, ანუ 72 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალი ტურნირის დამამშვენებელი აკორდი გამოდგა - **ნატალია ვორობიოვამ** ფრანგი **სინტია ვესცანი** 47 წამში სუფთად დაამარცხა.

**ირაკლი თავაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

### კვარცხლბეკი

**48 კგ**

1. ლიუბოვ სალნიკოვა (რუსეთი)
2. მელანი ლესაფრე (საფრანგეთი)
3. იულია კუზმინა (უკრაინა)
3. იასქულინ შელინი (გერმანია)

**55 კგ**

1. მარია გუროვა (რუსეთი)
2. ანასტასია გრიგორიევა (ლატვია)
3. კატარინა კრავჩუკი (პოლონეთი)
3. იულია ბლაჰინია (უკრაინა)

**63 კგ**

1. იულია ოსტაპჩუკი (უკრაინა)
2. კარინ სტინგელინი (შვეიცარია)
3. ეველინა გრივიკი (შვედეთი)
3. ეკატერინა მელნიკოვა (რუსეთი)

**72 კგ**

1. ნატალია ვორობიოვა (რუსეთი)
2. ცინტია ვესცანი (საფრანგეთი)
3. ევა-მარია მაიერჰოფერი (ავსტრია)
3. ეპპ მაე (ესტონეთი)



დღის ფოტორეპორტაჟი











კალათბურთი

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები

# პირველი წავაგეთ



ბექა ჩიკვილაძემ 19 ქულა ჩააგდო

**29 ივნისი**

ისრაელი. აშქელონი.

**ისრაელი-საქართველო 69:48**

15:11, 12:14, 20:9, 22:14

საქართველო: თავართქილაძე, ჩიკვილაძე (19), ბაქრაძე (9), დვალიშვილი (9), თენიეშვილი (7), იოსელიანი (4), ბოქოლიშვილი, ტეტელაშვილი, ლომოური, სულაბერიძე, ბექაური, ჯავახიშვილი

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ისრაელში ადგილობრივ გუნდთან პირველი საკონტროლო მატჩი გამართა. **მიხეილ კობეშავიძის** შეგირდებმა შეხვედრის პირველი ნახევარი კარგად ჩაატარეს და მეტოქეს თანაბარი ბრძოლა გაუჩალეს. შემდეგ კი მასპინძლებმა დაცვაში თამაში გააუმჯობესეს და მესამე ათწუთეულში ქართველებს მხოლოდ 9 ქულა დაანებეს. ისრაელის ნაკრებს საბოლოო წარმატების მიღწევაც არ გასჭირვებია – 69:48.

რადგან მატჩი არ გვინახავს თამამი დასკვნების გამოტანა არ შეიძლება, თუმცა, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ისრაელმა პირველ ტაიმში მხოლოდ 27 ქულა ჩაგვიგდო. ე.ი. ჩვენი დაცვა მონოდების სიმაღლეზე იყო. რასაც ვერ ვიტყვით შეტევაზე – ქართველებმა 50 ქულასაც ვერ უწიეს – 48-ს დასჯერდნენ. 10-ქულიან ზღვარს ერთადერთმა კალათბურთელმა გადააბიჯა – ესპანური "პიექსეგალეგოს" უკანახაზელმა **ბექა ჩიკვილაძემ** 19 ქულა ჩააგდო. მასზე 10-ით ნაკლები ორ კალათბურთელს ჰქონდა.

კალათბურთის ფედერაციის ვებსაიტზე გამოქვეყნდა ჭაბუკთა ნაკრების მეორე მწვრთნელის, **კახა შენგელიას** მატჩის შემდგომი ინტერვიუ, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

– შედეგის მიუხედავად, ვერ ვიტყვი, რომ თამაშით უკმაყოფილონი ვართ. ეს ხომ მოსამზადებელი ეტაპია. ბიჭებმა პირველი გამოსაცდელი მატჩი ჩაატარეს. ის კომბინაციები, რასაც ვარჯიშებზე ვამუშავებდით, პირველად გადავიტანეთ ძლიერ მეტოქესთან მატჩში. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი A დივიზიონშია და თან მასპინძელი იყო, თამაშის ნახევარზე მეტი თანაბრად ვებრძოლეთ.

**– სოლიდური სხვაობით წაგებას რას დააბრალებთ?**

– ვერ ვიტყვი, რომ ფიზიკურ მომზადებაში დავიჩაგრეთ და მეორე ნახევარში ამიტომ გვაჯობა მეტოქემ.. მარცხს უფრო გამოცდილებას დავაბრალებდი. დიდი ხანი არაა, რაც ჩვენი ნაკრები უშუალოდ ბურთთან კომბინაციების დამუშავებას შეუდგა და შესათამაშებლად გარკვეული დროა საჭირო. გამოცდილებაც თამაშიდან თამაშამდე მოდის. ეს კი ჩვენი პირველი მატჩი იყო. რაც მთავარია, გამოჩნდა ის მინუსები და პლუსები, რაც ჩვენს გუნდს აქვს. ახლა უფრო ზუსტად ვიცით, რაზე გვმართებს მუშაობა.

**– როგორი ხუთეულით ითამაშა ჩვენმა ნაკრებმა?**

– ტატო თავართქილაძე, მერაბ ბოქოლიშვილი, ბექა ჩიკვილაძე, დავით იოსელიანი და აკაკი დვალიშვილი.

**– ვინ ვერ მოხვდა 12–კაციან განაცხადში?**

– ბექა ქიქველიშვილი და დუდა სანაძე.

**– მომდევნო მატჩებზე რას იტყვით?**

– ლოგიკურად, თამაში ეტაპობრივად უნდა გავაუმჯობესოთ. რა გამოგვივა, მოედანზე გამოჩნდება. ჩვენ აქ მოსამზადებლად ვართ ჩამოსულები, მთავარი მიზანი ხარვეზების გამოსწორება და კომბინაციების სრულყოფაა. შედეგიც თავისთავად მნიშვნელოვანია.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველი NBA-ში

# ზაზა სპურსს სურს

"კლივლენდი", "ბოსტონი", "ორლანდო", "დალასი", "ტორონტო", "მაიამი"... ეს ის კლუბებია, რომლებსაც ჟურნალისტები **ზაზა ფაჩულიას** მომავალ ნავსაყუდლად განიხილავდნენ. გუშინ მათ რიცხვს კიდევ ერთი სერიოზული ორგანიზაცია შეემატა – "სან ანტონიო სპურსი". აი, რას წერს "ატლანტა კონსტიტუშენის" კორესპონდენტი **მარკ ბრედლი:**

*"ჯორჯიულ კლუბს ოთხი თავისუფალი აგენტი ჰყავს: ზაზა ფაჩულია, მაიკ ბიბი, მერვინ უილიამსი და ფლიპ მიურეი. კლუბის მთავარი მწვრთნელი, მაიკ ვუდსონი კი ამბობს, ოთხივე მჭირდებაო, მაგრამ უკანა ხაზში სერიოზული კონკურენციაა, რაც ბადებს ეჭვს, რომ გუნდი ოთხიდან ყველას არ დაიტოვებს. ხელმძღვანელობა მთავარ ამოცანად მაიკ ბიბის დაბრუნებას მიიჩნევს, ასევე სურს ზაზა ფაჩულიასთან ახალი კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ ქართველთან მიმართებაში საქმეს ის ართულებს, რომ მისი დამატება სერიოზული ორგანიზაციის მქონე "სან ანტონიო სპურსს" სურს. თუ, ტეხასელებმა ფაჩულია წაიყვანეს, მაშინ "ატლანტა" ავსტრალიელი დევიდ ანდერსენის გადმოყვანას ეცდება. დევიდი გასულ სეზონში ესპანური "ბარსელონას" ღირსებას იცავდა."*

როგორც ხედავთ, ატლანტელი ჟურნალისტი "სან ანტონიოში" ზაზას გადასვლაზე სერიოზულად საუბრობს. "სპურსის" დაინტერესება ალოგიკური ნამდვილად არ უნდა იყოს, რადგან ზაზა ამ გუნდთან ყოველთვის დამაჯერებლად თამაშობს. ფაჩულიას კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ხომ "სან ანტონიოსთან" აქვს ჩატარებული: 2007 წლის 21 თებერვალს მან "სპურსს" 23 წუთში 23 ქულა ჩაუგდო და ზედ 10 მოხსნა მიაყოლა. მეტსაც გეტყვით: ზაზამ პირველ ტაიმში ძალიან ცოტა ითამაშა და ქულა-მოხსნათა უმეტესობა მეორე ნახევარში მიითვალა. ამერიკელები იმასაც წერდნენ, მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში "სან ანტონიოს" თავკაცი **გრეგ პოპოვიჩი** ქართულ გვარს გაიძახოდა – ფაჩულია დაიჭირეთო.

აქვე ვივარაუდებთ, რომ ზაზასთვის ტეხასში გადაბარგება გაცილებით უკეთესი უნდა იყოს, რადგან პოპოვიჩის გუნდში ყველას თავისი ადგილი აქვს და შესაძლებლობებსაც ბოლომდე ავლენს, რასაც ვერ ვიტყვით "ატლანტაზე".

ზაზას გვარი ტეხასის შტატში გამომავალი გაზეთის "ექსემაინერის" გვერდებზეც მოხვდა. აი, ასე ახასიათებს მას ჟურნალისტი **მაიკლ ჩარტიე:**

*"ზაზა ფაჩულია თავისუფალი აგენტია, რომელსაც "ატლანტამ" წინასწარი კონტრაქტი ჯერ არ შესთავაზა. "სპურსის" ერთ-ერთი სამიზნე გორტატია. მასსა და ფაჩულიას შორის სხვაობა გამოცდილებასა და სისწრაფეშია. ისინი თითქმის თანატოლები არიან. ფაჩულია გორტატივით ათლეტური არ არის, თუმცა ქართველმა დაამტკიცა, რომ ჯანი არავისზე ნაკლები არ აქვს და შეტევაშიც ბევრს სჯობს. ზაზას, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, საკმარისი გამოცდილება აქვს, თუმცა ჯერ ექსტრაკლასის ცენტრი არ არის. ამიტომ, მისი შეძენა შედარებით იაფად შეიძლება. მისი "სან ანტონიოში" გადასვლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გუნდი წინა ხაზში გაძლიერებას საჭიროებს და თუ ქართველს საჩემპიონო გუნდში თამაშის სურვილი ექნება."*

ბოლო წინადადებაში ჟურნალისტს რისი თქმა სურდა, ბოლომდე ვერ გავიგეთ, თუმცა მისი უთარგმნელობაც არ შეიძლებოდა.

თავისუფალ აგენტთა ბაზარი დღეს იხსნება და ზაზა ფაჩულიაც კონკრეტულ წინადადებებს დღეიდან მიიღებს. ვნახოთ, რა პირობებს შესთავაზებს "სან ანტონიო"...

თუმცა, აქვე იმასაც დავძენთ, რომ თავად კალათბურთელს ატლანტადან აბარგება ძალიანაც არ სურს. თუ "ატლანტა" სარფიან წინადადებას შესთავაზებს, ქართველი "ჰოქსში" დარჩენაზე დაფიქრდება.

მისი დაბრუნების სურვილი "ატლანტას" მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** სახალხოდ დააფიქსირა. "ატლანტა კონსტიტუშენში" "ჰოქსის" თავკაცი თავისუფალ აგენტებზე ასე საუბრობს:

*"განვლილმა პლეი ოფებმა დაგვანახვა, რაოდენ საჭირო კალათბურთელები არიან ფლიპ მიურეი, ზაზა ფაჩულია და მაიკ ბიბი. ისინი გუნდს გაუძლვნენ მაშინ, როცა ტრავმის თუ სხვა მიზეზების გამო სათანადოდ ვერ დაგვეხმარნენ უილიამსი, ჯონსონი და ჰორფორდი. ფაჩულია, ბიბი და მიურეი გაისადაც დაგვჭირდება და მათთან ხელახალი კონტრაქტების დადებაზე ვმუშაობთ."*

**ვაჟა სიმონიშვილი**



ზაზა ფაჩულია

ჩოგბურთი



ანა ტატიშვილი

# ქართული კვარტეტი ევროპაში

ესპანეთის ქალაქ პოცობლანკოში იწყება ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი ამერიკული დოლარია. ანდალუზიაში ჩვენი პირველი და მეორე ჩოგნები იასპარეზებენ. შვედური კრისტიენშამნის ტურნირის გამარჯვებული **ანა ტატიშვილი** (190) მე-8 ნომრად არის განთესილი და ის ავსტრალიელ **შენონ გოლდს** (312) ხვდება. **მაკა ჩახნაშვილი** (229) განუთესავია, მისი მეტოქე არგენტინელი **აგუსტინა ლეპორაა** (271). თუკი ორივე ჩვენებური მოიგებს და მერვედფინალში გავა, ისინი კარიერაში პირველად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. წყვილთა თანრიგში ძალებს მხოლოდ ანა ტატიშვილი ცდის, მისი მეწყვილე კანადელი **შარონ ფიჩმენია** (202). მათი პირველი მეტოქე მასპინძელთა (**იერა კამპოს-მოლინა** (486) და **ბეატრის გარსია-ვიდაგანი** (872)) დუეტია.

ტურინის (იტალია) თიხნარზე დაიწყო საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი $), რომელშიც **ოქსანა კალაშნიკოვა** (276) მე-8 ნომრად არის განთესილი. ოქსანას პირველი მეტოქე საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული ამერიკელი **ჩიჩი შოლია** (796). ანალოგიური საპრიზო ფონდის შეჯიბრება მონ დე მარსანშიც (საფრანგეთი) იმართება, იქ **სოფიო შაფათავაა** (272) განთესილთა შორის. სოფიო ტურნირის მე-6 ჩოგანია, პირველ წრეში მისი მეტოქე ტუნისელი **სელიმა სფარია** (422).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო

# ტოჩინოშინი მეხუთე მაეგაშირაა

ტოკიოში სუმოისტთა ახალი რეიტინგი (იაპონურად ბანძუკე) გამოქვეყნდა, რომელშიც ელიტის ორი ქართველი მონაწილის დადებითი ბალანსი მაისის ბაშოზე მათი დაწინაურებით აღინიშნა. უმაღლესი დივიზიონის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** დღეიდან დასავლეთის მე-5 მაეგაშირაა. **ლევან ცაგურია (კოკაი)** მომავალ ბაშოზე აღმოსავლეთის მე-8 მაეგაშირას რანგში იასპარეზებს. მაღალი რანგი კი შესაბამისად უფრო ძლიერ მეტოქეებს ნიშნავს სუმოში, ეს განსაკუთრებით ტოჩინოშინზე ითქმის, რომელსაც ყველა ვარიანტში მოუწევს მოწინავე სუმოისტებთან (იოკოძუნა, ოძეკი) ჭიდილი. 21 წლის ტოჩინოშინს კარიერაში 205 ორთაბრძოლა აქვს გამართული, აქედან 124 მან მოიგო, 80-ში დამარცხდა და ერთში ტრავმის გამო გამოუცხადებლობისთვის წაგება ჩაეთვალა. მხოლოდ ელიტის ორთაბრძოლები რომ ვიანგარიშოთ, ტოჩინოშინს ჯერ უარყოფითი ბალანსი აქვს - 49-56. კოკაის კარიერაში 632 ორთაბრძოლა გაუმართავს, აქედან 337 ქართველმა გოლიათმა მოიგო. მაკუუჩის დივიზიონის სტატისტიკა მასთვისაც უარყოფითია - 240-255.

აიჩის პრეფექტურის დედაქალაქ ნაგოიაში ივლისის ბაშო 12-26 რიცხვებში გაიმართება. იქ კვლავ ორი დიდი ჩემპიონი იჭიდავებს, აღმოსავლეთის იოკოძუნა **ჰაკუჰო** და დასავლეთის იოკოძუნა **ასაშორიუ**. ოძეკი ხუთია, **ჰარუმაფუჯი, კოტოოშუ, კაიო, კოტომიცუკი** და **ჩიოტაიკაი**. წლეულს პირველად არც ერთ მათგანს არ სჭირდება ბაშოზე ტიტულის დაცვა. კიდევ ერთი მონღოლი დაწინაურდა - 23 წლის **კაკურიუ** პირველად გახდა სუმოს ელიტაში რანგით მესამე ტიტულის მფლობელი, კაკურიუ და **კისენოსატო** ნაგოიაში სეკივაკეს რანგში წარდგებიან პუბლიკის წინაშე. **კიოკუტენჰომ** და **კოტოშოგიკუმ** კომუსუბის ტიტული დაიბრუნეს. უმაღლეს დივიზიონში დებიუტი სამ რიკიშის ექნება, **მოკონამის, ტოსაიუტაკას და ვაკაკოიუს**.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში რანგით ოდნავ წაიწია წინ **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**, ის მაკუშიტას მე-5 ნომერი იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ტოჩინოშინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი



„პანტერა“ და ნტნ-ი. მარცხნიდან: ანტონ ნადირაძე, ვახტანგ ღლონტი, ლუკა ობოლაძე, ანასტასია სიდამონიძე, ვაჟა ნადირაძე, გიორგი სიბაშვილი, მარიამ ცერცვაძე, ალექსანდრე ურდულაშვილი, მზია წერეთელი და დავით გურგენიძე;

# ფოთელები ნანამ ასახელა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, სახელოვან დიდოსტატთა აღმზრდელის **ვახტანგ ქარსელაძის** მემორიალი. 74 გუნდი ოთხ ასაკობრივ ჯგუფში პირველობას ეცილებოდა ერთმანეთს შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად. გუშინ ბოლო ორთაბრძოლები გაიმართა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორებიც. სამ ასაკში ოქროს მედლები თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ვახტანგ ქარსელაძის სახელობის საჭადრაკო სკოლის (დირექტორი **ნანა ალექსანდრია**) წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს, ხოლო ათწლიანებში პირველობა ფოთელებს ხვდათ.

ახლა კი უფრო დაწვრილებით:

**8-წლიანთა** მეშვიდე ტურში „პანტერა-1“-მა „ნინილები“ დაამარცხა 2,5:1,5. ასეთივე ანგარიშით „პოლუსი-1“-მა „ნანა-3“-ს მოუგო, „ფუტკარმა“ კი „აისს“ სძლია — 3,5:0,5. ამდენად, ქულათა მაქსიმუმით (14) პირველი ადგილი „პანტერა 1“-მა (**ლუკა ობოლაძე, ვაჟა ნადირაძე, ანტონ ნადირაძე და ანასტასია სიდამონიძე**, მწვრთნელი **მზია წერეთელი**) დაიკავა. გამარჯვებულს 2 ქულით ჩამორჩა „პოლუსი-1“ (მწვრთნელი **ნინო ოთიაშვილი**), 10 ქულით მესამე ადგილზე „ფუტკარი“ (**თემურ ხანთაძე**) გავიდა.

**10-წლიანებში** თბილისელმა „მამლაყინწებმა“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ფოთის „ნანა-1“-ს და შეხვედრა ფრედ (2:2) დაამთავრეს. „აისმა“ და „საბურთალო-10“-მა ერთნაირი ანგარიშით — 2,5:1,5, შესაბამისად, „პანტერასა“ და „კოლხას“ სძლიეს, რითაც საპრიზო ადგილებიც დაიბევეს. 13 ქულით პირველობა ფოთის „ნანა-1“-ს (**გიგი აბსარიძე, ომარ ზარგინავა, ლუკა გულუა, ანი ჭანტურია**, მწვრთნელი **დავით კოდუა**) ერგო. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: 2. „აისი“ (**გოგი მაჭარაშვილი**) — 12 ქულა, 3. „საბურთალო-10“ (**დავით ხიზანიშვილი**) — 10 ქულა.

— შეგირდების წარმატებამ ძალიან გაგვახარა, — გვითხრა ნანა ალექსანდრიას სახელობის ფოთის საჭადრაკო სკოლის მწვრთნელმა **გელა ღვამბერიამ**. — შეჯიბრებაზე 5 გუნდი ჩამოვიყვანეთ სხვადასხვა ასაკში, თუმცა ყველაზე მეტად „ნანა-1“-ის გვეიმედებოდა და ასეც მოხდა. მის შემადგენლობაში ისეთი მოჭადრაკეები გამოდიოდნენ, რომლებმაც აქამდე სხვადასხვა ტურნირზე გამოიჩინეს თავი: შარშან ოქტომბერში აბსარიძემ ქუთაისში მაიას თასი მოიგო. იმავე ტურნირში საპრიზო ადგილზე გავიდა გულუა. წლეულს სამეგრელო-ზემო სვანეთის ათწლიანთა პირველობაზე ტოლი არ ჰყავდათ ზარგინავას და ჭანტურიას. ზარგინავამ ინწკირველის მემორიალში მეორე ადგილი დაიკავა. ჩვენმა გუნდმა კი ჩირაძის ხსოვნის ტურნირზე პირველობა არავის დაუთმო. აი, ამიტომაც გვჯეროდა „ნანა-1“-ის გამარჯვებისა და მოზარდებმაც იმედები არ გაგვიცრუეს...

**12-წლიანებში** ერთპიროვნულმა ლიდერმა თბილისის ნტნ-მა პირველი მარცხი იწვნია ზუგდიდის „ანდრიასგან“ 1,5:2,5, ამის მიუხედავად, 12 ქულით პირველობა მაინც შეინარჩუნა (**ალექსანდრე ურდულაშვილი, გიორგი სიბაშვილი, ვახტანგ ღლონტი, მარიამ ცერცვაძე**, მწვრთნელი **დავით გურგენიძე**). ქულით ნაკლები მოაგროვა „ანდრიამ“ (**გოჩა თორია**). 10-10 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები თბილისის 151-ე სკოლის გუნდმა (**სოსო კვირიაშვილი**) და ფოთის „ნანამ“ (**დავით კოდუა**) გაიყვეს. უკეთესი კოეფიციენტით „ბრინჯაო“ თბილისელებს ხვდათ.

**14-წლიანებში** 6 ტურის შემდეგ 11 ქულით „აისი“ (**ანა კუჭავა, შალვა ნადირაძე, ოთარ მანგიშვილი, ნინო კოდუა**, მწვრთნელი **გოგი მაჭარაშვილი**) მეწინავეობდა. ლიდერებმა ბოლო ტურშიც დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე — „სიონს“ 3,5:0,5 მოუგეს. „ლუკა გიომ“ (**გივი გოგიჩაიშვილი**) მსგავსი ანგარიშით „თბილისს“ სძლია და 12 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. 11 ქულით მესამეზე „კოკა“ (**დავით გურგენიძე**) გავიდა.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოვეს, პირველადგილოსნებს თასებიც ხვდათ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტოები



„ნანა“ და „აისი“: მარცხნიდან — ლუკა გულუა, გიგი აბსარიძე, ანი ჭანტურია, ომარ ზარგინავა (I რიგში), ანა კუჭავა, შალვა ნადირაშვილი, ომარ მანგიშვილი, ნინო კოდუა, გოგი მაჭარაშვილი და გელა ღვამბერია

ძიუდო — ინტერვიუ ნიკოლოზ ზაუტაშვილთან

# ადრე ობიექტურობა დამიფასეს, ახლა პროფესიონალიზმით

**ახლახან სლოვენიის ქალაქ ცელიოში ჩატარებული მსოფლიოს თასის პარალელურად გამართულ ევროპის ძიუდოს მსაჯთა სემინარებზე B კატეგორიის ლიცენზია მოიპოვა ახალგაზრდა ქართველმა რეფერიმ, გორელმა ნიკოლოზ ზაუტაშვილმა.**

**დღემდე საქართველოდან მისი ჩათვლით უკვე შვიდ მსაჯს აქვს მიღებული A ან B კატეგორია. ამდენი მაღალი დონის არბიტრი კი ძიუდოში თავჩენილ ბევრ ქვეყანას არ ჰყავს.**

— სპორტის და საერთოდ ჭიდაობის სიყვარული ჩვენი ოჯახის ტრადიციაა. ჭიდაობას ბავშვობაში ვეზიარე. ვიყავი საქართველოს ორგზის ჩემპიონი სამბოში, მსოფლიოს მესამე პრიზიორი ახალგაზრდებს შორის, აგრეთვე ევროპის ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზიორი. სამწუხაროდ, ტრავმის გამო აქტიურ სპორტს ნაადრევად ჩამოვშორდი



ნიკოლოზ ზაუტაშვილი სლოვენიაში „დაქს ქაფზე“ მსაჯობისას

და მსაჯობა დავიწყე. მოგვიანებით შოთა ხაბარელმა და გია თენაძემაც წამაქეზეს. 2004 წელს ეროვნული კატეგორიის არბიტრი გავხდი, – ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

**— ძიუდოშიც მსაჯობდით და სამბოშიც?**

— დიახ, მაგრამ ძირითადად ძიუდოში, ვინაიდან სამბოში ნაკლებადაა შეჯიბრებები.

**— ჩვენს ქვეყანაში უკვე შვიდი A და B კატეგორიის რეფერი ხართ. ცოტაა ეს თუ ბევრი საქართველოსთვის?**

— რა თქმა უნდა, კარგია. უმჯობესი იქნებოდა მეტიც გვყავდეს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მხოლოდ სამი ასეთი მსაჯია, თვით საფრანგეთი და ჰოლანდიაც ვერ დაიკვეხნიან ჩვენზე მეტს.

მადლობელი ვარ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის, რომელმაც მიმავლინა სლოვენიაში. ვიყავით 34 კონკურსანტი, ყველა გამოცდა წარმატებით მხოლოდ 16-მა ჩავაბარეთ. ლიცენზიის გარეშე დარჩა ჰოლანდიელი კონკურსანტი, მაშინ, როცა კონტინენტის მსაჯთა კოლეგიას ამავე ქვეყნის წარმომადგენელი იან სნეიდერსი უდგას სათავეში. იგივე დაემართა თურქს, თუმცა მისი თანამემამულე ერთ-ერთი კომისარია. ჩაიჭრა რუსი, ფრანგი რეფერი...

**— ხელმოცარულებს შანსი კიდევ რჩებათ?**

— მხოლოდ ერთხელ და მორჩა. ლიცენზიის მომპოვებელს საქმიანობის საშუალება კი 65 წლის ასაკმდე ეძლევა, თუ რა თქმა უნდა, უხეში შეცდომის გამო არ ჩამოართვეს წოდება.

**— ძიუდოს წესებში განხორციელებულ ცვლილებებზე რა აზრის ხართ?**

— მივესალმები დამატებითი დროის, ანუ ე. წ. „გოლდენ სქორის“ წესს. 6-7 დასაწანი ორთაბრძოლა ჰანტეითი თავად წამიგია, როცა ვჭიდაობდი. არადა ახლა, თუ ძლიერი ხარ, დამატებით დროში კიდევ გაქვს მოგებისთვის ბრძოლის შანსი. მომეწონა კოკას გაუქმება — ასე მგონია ბევრმა მსაჯმა დღესაც არ იცის, რატომ აძლევდა ამ შეფასებას კონკრეტული პაექრობებისას. შეცვლილი წესებით, უფრო წელში გამართულად მიდის ჭიდაობა. ამან სანახაობის თვალსაზრისით გაზარდა ძიუდო და მე ვიტყოდი, გაცილებით დაახლოა ქართულ ჭიდაობას. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩვენი ეროვნული ჭიდაობის მოვლა-პატრონობა ქართულ ძიუდოსაც უთუოდ ახეირებს. უნდა გაძლიერდეს ტალანტების მოძიების პროცესი სოფლებში. არაერთი ბიჭუნა მინახავს, რომელიც კისრულს და მოგვერდს ისე ლამაზად აკეთებდა, მის შესასწავლად იაპონელებს, რუსებს და სხვებს წლების განმავლობაში უწევთ მუშაობა. ჩვენს პატარებს ჭიდაობის ნიჭი ბუნებრივად, ღმერთისგან აქვთ ბოძებული.

**— და ბოლოს, ახლა რა გზა გაქვთ A კატეგორიამდე გასავლელი?**

— საქართველოს ძიუდოს ფედერაციაზეა დამოკიდებული რა სიხშირით მომიწევს მსაჯობა, რაზედაც დამოკიდებულია ქულების და შეფასების მომატება ევროპის მსაჯთა კოლეგიაში. თუ წელიწადში 3 ან 4 საერთაშორისო შეჯიბრებაზე მაინც ვიმსაჯებ, ოთხი წლის შემდეგ მექნება უფლება A კატეგორიის ლიცენზიის მოსაპოვებლად ვიბრძოლო.

**ვასილ ბალახაძე**

პლაჟბურთი

# ნინ, საქა-რთველო!

## გეორ-გია გაჩერდა

ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი პლაჟბურთში. დასასრულს უახლოვდება ჯგუფური ეტაპის მატჩები. I პულში შეხვედრები უკვე დასრულდა. ვაჟ პლაჟბურთელთა ქართულ გუნდ **გეორგიას** შეეძლო ერთი მოგებით მეთექვსმეტედფინალის საგზურის მოპოვება, მაგრამ, მოულოდნელად, 33-ე ნომრად განთესილმა გეორ-გიამ 1:2 დათმო მე-40 ნომრად განთესილ ფრანგულ წყვილთან (**დუგრიპი, სალვეტი**). ჩვენებმა პირველი სეტი მოიგეს - 21:12, მაგრამ შემდეგი ორი დათმეს - 17:21, 11:15. მატჩი ზუსტად 56 წუთს გაგრძელდა. პულის მეორე შეხვედრაში ესტონელებმა (**კაისი, ვესიკი**) რუსები (**კოლოდინსკი, ბარსუკი**) დაამარცხეს - 2:1 (18:21, 21:12, 15:12). სამწუხაროდ, ეს ყველაზე ცუდი იყო, რაც კი შეიძლებოდა მომხდარიყო, ესტონელთა გამარჯვების „წყალობით“ გეორ-გიამ მესამე ადგილიც დაკარგა და პულში ბოლოზე გავიდა და მსოფლიოს ჩემპიონატს დაემშვიდობა. რიხით დაწყებული საქმე, ჩვენმა დუეტმა ასე უგერგილოდ დაასრულა.

სამაგიეროდ, გაგვახარა **საქართველომ! კრისტინა სანტანასა** და **ანდრესა ჩაგაშის** დუეტმა წუხელ დანიური გუნდი (**ანდრეასენი, ვესტერგაარდი**) 2:0 დაამარცხა და მეთექვსმეტედფინალში გავიდა. ჩვენმა გოგონებმა ძალიან იოლად მოიგეს ორივე სეტი - 21:9, 21:13. მეორე შეხვედრაში მე-9 ნომრად განთესილ ნორვეგიელებს (**ნილა, ინგრიდი**) მოგება ჩაეთვალათ, რადგან მათი მეტოქე გერმანული გუნდის (**როლი, რაუ**) ფრენბურთელმა ტრავმა მიიღო. საქა-რთველომ 5 ქულით პულში მესამე ადგილი დაიკავა (ნორვეგიელების და გერმანელების შემდეგ), რომელიც პირდაპირ მეთექვსმეტედფინალში თამაშის გარანტიას არ იძლევა, მაგრამ 12 პულიდან 8 საუკეთესო მესამეადგილოსანიც გადის შემდეგ ეტაპზე. ამ მაჩვენებლით (5 ქულა) კი ჩვენები ბევრს სჯობნიან, ფლეი ოფის ყველა მონაწილე დღეს გაირკვევა, როცა ყველა პულში დასრულდება ასპარეზობა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

Cito



გუუს ჰიდინკი

# ჰიდინკი დოქტორია

რუსეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გუს ჰიდინკმა** სამხრეთი კორეის ქ. ულსაში წარმატებით დაიცვა სადოქტორო ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში. შეგახსენებთ, რომ 2002 წელს ჰიდინკმა სამხრეთი კორეის საფეხბურთო ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალამდე მიიყვანა, რუსეთის ნაკრებს კი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოაპოვებინა. ამ ბოლო წარმატებისთვის ფეხბურთის აღიარებულ ჯადოქარს „რუსეთის დამსახურებული მწვრთნელის“ წოდება მიენიჭა.

# სამხრეთი აფრიკის ნაკრების ფეხბურთელმა ქალი იმსხვერპლა

ფეხბურთში კონფედერაციის თასის გათამაშების დამთავრებასთან დაკავშირებით სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკის ნაკრების კაპიტანმა **აარონ მოკოენამ** წვეულება გამართა. გუშინ, წვეულებიდან დაბრუნებისას ნაკრების და „პანათინაიკოსის“ მცველი **ბრაის მუნი** საკუთარი ავტომანქანით იოჰანესბურგში მცხოვრებ 25 წლის ქალ **მევიო ნკუბეს** დაეჯახა. ფეხბურთელს ავარიის შედეგად თავი დაუზიანდა, იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს და პირველადი დახმარების შემდეგ შინ გაუშვეს. აი, ნკუბეს მიღებაზე კი ორმა ახლომდებარე საავადმყოფომ უარი განაცხადა, შემდეგ იგი გადაიყვანეს იმავე კლინიკაში, სადაც დაშავებულ ფეხბურთელს აღმოუჩინეს დახმარება, მაგრამ ახალგაზრდა ქალი ექიმებმა ველარ გადაარჩინეს.

# ველოსპორტი საფრთხეს უქმნის მემკვიდრეობას?



ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ინგლისელი და ესპანელი მეცნიერები. მათი მტკიცებით, პროფესიონალი ველომრბოლი, რომელიც კვირაში 180 მილს გადის ველოსიპედით, ჯანმრთელობას გამოუსწორებელ ზიანს აყენებს. ასეთ სპორტსმენებს ნორმალური რჩებათ სპერმის მხოლოდ 4 პროცენტი. ეს კი საგრძნობლად ამცირებს მამობის შანსს. მაგრამ ისინი, ვინც ველოსიპედით სამსახურში დადიან ან სეირნობენ არა უმეტეს ნახევარი საათისა, არანაირი საშიშროება არ ემუქრებათ.

მეცნიერთა დასკვნებს საეჭვოს ხდის დიდებული ამერიკელი ველომრბოლის, **ლენსომ არმსტრონგის** მაგალითი. „ტურ დე ფრანსის“ ექვსგზის ტრიუმფატორი არც თუ დიდი ხანია, რაც მეოთხე შვილის მამა გახდა.

მოამზადა
**თენგიზ თომაშვილმა**

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2009

# უილიამსები რუსეთის წინააღმდეგ

წლევანდელი უიმბლდონის ქალთა ტურნირი ამერიკისა და რუსეთის დაპირისპირებად გადაიქცა. გუშინ აქ მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა და საუკეთესო ოთხეულში მოხვდნენ დები **უილიამსები** და რუსები - **დინარა საფინა და ელენა დემენტიევა.**

ოთხიდან სამ მეოთხედფინალში ბრძოლა თითქმის არ ყოფილა. ამერიკელმა ჩოგბურთელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ შესანიშნავ ფორმაში იმყოფებიან. **ვენუსმა** პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკასთან** მატჩში საწყისი ხუთი გეიმი მოიგო და 5:0 დაწინაურდა, მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო რადვანსკამ პირველი გეიმის აღება. სეტი უფროსმა უილიამსმა 6:1 მოიგო.

მეორე პარტია ოდნავ უცნაურად დაიწყო. პოლონელი 2:0 დაწინაურდა და ამით ძალიან გააბრაზა მეტოქე. ვენუსმა ზედიზედ ექვსი გეიმი აილო და სეტის წაუგებლად აგრძელებს სვლას უიმბლდონზე თავისი მეექვსე ტიტულისთვის.

ვენუსის დამ **სერენამ** დამაჯერებელი რევანში აუღო ბელარუს **ვიქტორია აზარენკას** წელს, მაიამის უმაღლესი ტურნირის ფინალში წაგებისთვის (3:6, 1:6).

ამ მეოთხედფინალში ბრძოლა მხოლოდ პირველ ოთხ გეიმში იყო. 2:2-ზე სერენამ ჩვეული აგრესიულობით შეუტია აზარენკას, რომელიც იმ დღეს კარგ თამაშს აჩვენებდა, მაგრამ ბალახზე უილიამსების დამარცხება ძალიან რთული საქმეა. ზედიზედ ოთხი გეიმის მოგებით სერენამ პირველი სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:2. მთელი პირველი პარტიის განმავლობაში, ამერიკელმა ერთადერთი (!) უნებლიე შეცდომა დაუშვა. მეორე პარტიაში გარდამტეხი მომენტი 3:2-ზე დადგა - ვიქტორია ბრეიკით იგებდა, მაგრამ თავისი მოწოდება წააგო და 3:3-ის შემდეგ, უილიამსს არც ერთი გეიმი აღარ წაუგია - 6:3.

ელენა დემენტიევამ დამაჯერებლად დაამტკიცა ფავორიტის სტატუსი იტალიელ **ფრანჩესკა სკიავონესთან** მატჩში. რუსმა სულ ოთხი გეიმი წააგო და ზედიზედ მეორედ გავიდა უიმბლდონის ნახევარფინალში, სადაც სერენას შეხვდება.

ბრძოლა მხოლოდ დინარა საფინასა და ტურნირის მთავარ სენსაციად მონათლული 19 წლის გერმანელის **საბინ ლისიცკის** მატჩში იყო. პირველ სეტში ლისიცკის აშკარა უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ გამოუცდელობის გამო საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, თუმცა იქ მაინც აჯობა მსოფლიოს პირველი ჩოგანს და სეტებში დაწინაურდა.

მეორე პარტიაში საფინამ თამაშს უმატა, ლისიცკიმ კი შეცდომებს. ორივენი კარგად თამაშობდნენ საკუთარ მოწოდებაზე. საფინას ბრეიკის ორი შანსი ჰქონდა და ერთი გამოიყენა, ლისიცკიმ კი ერთადერთი ბრეიკ-პოინტი ვერ შეირგო და სეტი 4:6 დათმო.

მესამე სეტის სტარტზე მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს, რის შემდეგაც რუსმა ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო და კარიერაში პირველად გავიდა უიმბლდონის ნახევარფინალში. როგორც არ უნდა მორჩეს ეს ტურნირი, საფინა რეიტინგში პირველ პოზიციას შეინარჩუნებს. თუმცა ნახევარფინალში არც დინარა და არც დემენტიევა არ ითვლებიან ფავორიტებად. თითქმის ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ ლონდონში ზედიზედ მეორედ უილიამსების ოჯახურ ფინალს ვიხილავთ. ასეთი პროგნოზი ამერიკელების გუშინდელი ბრწყინვალე თამაშის შემდეგ გაკეთდა.

სხვათა შორის, ბოლო ცხრა სეზონის განმავლობაში, უიმბლდონის მხოლოდ ერთ ფინალში არ უთამაშია რომელიმე უილიამსს, დანარჩენ რვა შემთხვევაში, გადამწყვეტ მატჩში ან ვენუსი ან სერენა (ან ორივე ერთად) გამოდიოდა.

### ქალები

#### 1/4 ფინალი

**ვენუს უილიამსი (აშშ, 3)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 11) 6:1, 6:2; **დინარა საფინა (რუს, 1)**-საბინ ლისიცკი (გერ) 6:7, 6:4, 6:1; **ელენა დემენტიევა (რუს, 4)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 6:2, 6:2; **სერენა უილიამსი (აშშ, 2)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8) 6:2, 6:3.

#### 1/2 ფინალში ხვდებიან

ელენა დემენტიევა (რუს, 4)-სერენა უილიამსი (აშშ, 2); დინარა საფინა (რუს, 1)-ვენუს უილიამსი (აშშ, 3).





# მაკინროიმ უძლიერესები შეკრიბა

უიმბლდონის დასრულებიდან ერთი კვირის თავზე მამაკაცებში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის - დევისის თასის მეოთხედფინალებია დაგეგმილი. 10-12 ივლისს ამერიკის ნაკრები ხორვატიის ქალაქ პორეჩში ესტუმრება ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს.

ამერიკელთა დამრიგებელმა **პატრიკ მაკინროიმ** ამ მნიშვნელოვანი შეხვედრისთვის უძლიერესი შემადგენლობის შეკრება მოახერხა. ერთეულთა თანრიგში ითამაშებენ მსოფლიოს მეექვსე და მე-17 ჩოგნები - **ენდი როდიკი და ჯეიმს ბლეიკი**, წყვილთა თანრიგში კი ATP-ის ტურის ერთ-ერთი საუკეთესო დუეტი (**ბობ და მაიკ ბრაიანები**) გამოვა.

*"ბიჭებმა ისევ თანხმობით უპასუხეს ჩვენს მიწვევას. ისინი მზად არიან ამ გამოწვევის მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ უიმბლდონის შემდეგ ყველას დასვენება სჭირდება, ამერიკის საუკეთესო ჩოგბურთელები კიდევ ერთხელ დაიცავენ ქვეყნის ღირსებას"*, - ამბობს პატრიკ მაკინროი.

აღსანიშნავია, რომ ეს გუნდები ადრე ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ორივეჯერ გამარჯვება ხორვატების მხარეს იყო.

ამბები



ჩოგბურთი

## დავენპორტს გოგონა შეეძინა

33 წლის ამერიკელმა ჩოგბურთელმა **ლინდსი დავენპორტმა** მეორე შვილი გააჩინა. ახალშობილ გოგონას **ლორენ ენდრიუსი** დაარქვეს.

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანსა და მის მეუღლეს **ჯონის** ორი წლის ვაჟი **ჯაგერი** ჰყავთ. როგორც ჩოგბურთელის აგენტმა განაცხადა, ლინდსი და ლორენ ენდრიუსი თავს კარგად გრძნობენ.

ჰოკეი

## გრეტცკის ფინიქსს მოაშორებენ

"ფინიქს კოიოტზის" მთავარი მწვრთნელი **უეინ გრეტცკი**, სავარაუდოდ, მომავალი სეზონის დაწყებამდე დატოვებს პოსტს.

ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველა დროის საუკეთესო ჰოკეისტმა ეს კლუბი ლოკაუტის შემდეგ ჩაიბარა, მაგრამ ერთხელაც ვერ შეძლო "ფინიქსის" პლეიოფში გაყვანა, არადა, ბოლო სეზონებში გრეტცკი ლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებად მწვრთნელად ითვლებოდა.

არიზონულ კლუბს სერიოზული ფინანსური სირთულეები აქვს და გრეტცკის გადაყენების შესახებ ოფიციალურად მას შემდეგ გამოცხადდება, რაც "კოიოტზი" ახალ მფლობელს შეიძენს. მწვრთნელის გარდა, "ფინიქსმა" შეიძლება 10 ჰოკეისტი დაკარგოს, რომლებიც დღეიდან თავისუფალი აგენტები ხდებიან.

## საკიკს თამაში არ მოჰბეზრებია

"კოლორადო ევალანშის" 39 წლის ვეტერანი **ჯო საკიკი** არ აპირებს კარიერის დასრულებას და "ზვავების" შემადგენლობაში კიდევ ერთი სეზონის გატარება სურს.

თუმცა "კოლორადოს" ხელმძღვანელობა შემადგენლობის კარდინალურად გადახალისებას აპირებს და საკიკს ახალი კონტრაქტის გარანტიას ვერ აძლევს. კლუბის გენერალური მენეჯერის **გრეგ შერმანის** სიტყვებით, ვეტერანი ფორვარდის მომავალი მათი პირადი შეხვედრის შემდეგ გაირკვევა.

ცხადია, რომ "კოლორადო" 18 წლის ცენტრფორვარდ **მეტ დიუშენზე** აპირებს აქცენტის გაკეთებას, რომელიც წლევანდელი დრაფტის მესამე ნომრად აირჩია.

ფორმულა 1

# ალონსო უკვე ფერარიშია?

საინტერესო ინფორმაცია გამოქვეყნდა გუშინ ესპანურ გაზეთ AS-ში. ესპანელი ჟურნალისტების ცნობით, "ფერარიმ", შესაძლოა, უკვე სექტემბერში გამოაცხადოს **ფერნანდო ალონსოს** ტრანსფერის შესახებ. იტალიურ საჯინიბოს ჯერ არ გაურკვევია, მოქმედი პილოტებიდან რომელს მოუწევს 2010 წელს გუნდის დატოვება - **კიმი რაიკონენსა** თუ **ფელიპე მასას**? ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ჩაივლის ზაფხულის ეტაპები.

AS-ი ვარაუდობს, რომ ალონსოსა და "ფერარის" შორის კონტრაქტის გაფორმება 11 სექტემბერს, მონცაზე, იტალიის გრან-პრის წინ ოფიციალურად დადასტურდება.

როგორც ცნობილია, "ფერარი" ყოველ სეზონს ტრადიციულად იტალიის ერთ-ერთ ავტოდრომზე საზეიმოდ ხურავს, მაგრამ AS-ის ვარაუდით, წელს ეს ღონისძიება ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში ნოემბერში ჩატარდება. ამის ორი მიზეზი არსებობს. ჯერ ერთი მომავალი სეზონიდან "ფერარის" ახალი სპონსორი ბანკი "სანტანდერი" გახდება და მეორე - ამ ცერემონიაზე წარუდგენენ ადგილობრივ პუბლიკას თავიანთ კერპს ფერნანდო ალონსოს. თუმცა ნანდოს არა "ფერარის" წითელი უნიფორმა, არამედ ჩვეულებრივი ტანსაცმელი ეცმება, რადგან მისი კონტრაქტი "რენოსთან" 31 დეკემბერს იწურება.

კიდევ ერთი პილოტი, რომლითაც "ფერარია" დაინტერესებული - **სებასტიან ფეტელი** გახლავთ, მაგრამ "სკუდერია" მის ხელში ჩაგდებას 2011 წლისთვის ეცდება. იმ დროისთვის გერმანელს მეტი გამოცდილება ექნება და "რედ ბულთან" მის კონტრაქტსაც სწორედ მაშინ გაუვა ვადა.



რაგბი

# ლომუ მარსელში ითამაშებს

სარაგბო კლუბმა "მარსელმა", რომელმაც წელს საფრანგეთის პირველ ფედერალურ დივიზიონში თამაშის უფლება მოიპოვა, ლეგენდარულ ზელანდიელ მორაგბესთან **ჯონა ლომუსთან** გააფორმა კონტრაქტი.

*"მარსელი - საფრანგეთის მეორე ქალაქია და მას დიადი სარაგბო გუნდი უნდა ჰყავდეს. ჩემი ახალი კლუბისთვის მომავალ სეზონში პრიორიტეტული იქნება Pro D2-ში მოხვედრა. ეს გამოწვევა ძალიან მხიბლავს.*

*რაგბი არასოდეს მიმიტოვებია. ერთწლიანი პაუზა ავიღე მეგობარი გოგონას ფეხმძიმობის გამო. ყველას ეგონა, რომ კარიერას დავასრულებდი, მაგრამ ისინი ცდებოდნენ"*, - მოჰყავს 34 წლის



მორაგბის სიტყვები "მარსელის" ოფიციალურ ვებგვერდს.

ჯონა ლომუს ახალი ზელანდიის ნაკრებში 63 მატჩი აქვს ჩატარებული.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

კალათბურთი

# იაო მინი ვეღარ ითამაშებს?



"ჰიუსტონ როკეტსის" ცენტრის **იაო მინის** კარიერას საფრთხე დაემუქრა. წლევანდელი პლეი ოფის ერთ-ერთ მატჩში ფეხის მოტეხის შემდეგ, კალათბურთელი, სავარაუდოდ, მთლიანად გამოტოვებს 2009-10 წლების სეზონს. ექიმები არ გამორიცხავენ, რომ იაო მინმა საერთოდ ველარ შეძლოს დიდ სპორტში დაბრუნება.

მეტალის სამი ფირფიტა, რომელიც ტრავმის შემდეგ იაოს ფეხში ჩაუდგეს, ჯერჯერობით ხელს არ უწყობს სიტუაციის გამოსწორებას - ტრავმის შეხორცება მაინც ვერ ხერხდება. *"ყველაფერი იქით მიდის, რომ იაო მომავალი სეზონის უდიდეს ნაწილს გამოტოვებს. შესაძლოა, ვერც ერთ შეხვედრაში ვერ მიიღოს მონაწილეობა. "ჰიუსტონში" უკვე იციან, რომ მინს დიდი პრობლემები აქვს"*, - განაცხადა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, რომელიც "ჰიუსტონის" წარმომადგენლებს ელაპარაკა. მისი თქმით, კლუბში პანიკა არ არის, არადა ტრავმის გამო იაო მინს კარიერის დასრულება ემუქრება.

ბოლო წლებში აზიის ყველაზე პოპულარულ კალათბურთელს ხშირად აწუხებს ტრავმები. 2006 წლის აპრილში მან ნაადრევად დაასრულა სეზონი ფეხის მოტეხილობის გამო. მომდევნო სეზონში კოჭის ძვალი მოიტეხა და ორთვე-ნახევრის გამოტოვებამ მოუწია, ხოლო 2007-08 წლების სეზონის ბოლოს, კიდევ ერთი მძიმე ტრავმა მიიღო, მაგრამ მაინც ითამაშა პეკინის ოლიმპიადაზე.

იაო მინს შედარებით იღბლიანი სეზონი ჰქონდა 2008-09 წლებში. მან პლეი ოფის მეოთხედფინალამდე თავიდან აიცილა სერიოზული დაზიანებები, მაგრამ "ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" სერიის მსვლელობისას მარცხენა ფეხი მოიტეხა და სეზონს გამოეთიშა.

"ჰიუსტონის" გენერალური მენეჯერი **დერილ მორი** თავს იკავებს კომენტარებისგან მანამ, სანამ მინი დამატებით სამედიცინო შემოწმებას არ გაივლის.

## თურქოღლუ მერიონში იცვლება?

ამერიკული პრესა სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ "ტორონტო რეპტორზი" და "ორლანდო მეჯიქი" საინტერესო გაცვლას ამზადებენ.

გარიგების თანახმად, **შონ მერიონი** "ორლანდოს" რიგებში უნდა გადავიდეს, ხოლო თურქი ფორვარდი **ჰედო თურქოღლუ** კანადური კლუბის შემადგენლობას შეავსებს.

შეგახსენებთ, რომ ჰედომ უარი თქვა "ორლანდოსთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე და თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო. ევროპელ ლეგიონერს კარიერის მიწურულს უფრო სარფიანი კონტრაქტის გაფორმება სურს.

შონ მერიონის მისვლა კი "ორლანდოს" კიდევ უფრო გააძლიერებს. როგორც იცით, ამ დღეებში წლევანდელი სეზონის მეორე გუნდმა ზაფხულის ერთ-ერთი მთავარი ტრეიდი განახორციელა - "ნიუ ჯერსიდან" **ვინს კარტერი** გადაიბირა.

## სპანულისი საუკეთესო ბერძენია

საბერძნეთში გასული სეზონის ლაურეატები გამოავლინეს. კენჭისყრის შედეგად ქვეყნის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ "პანათინაიკოსის" გამთამაშებელი **ვასილის სპანულისი** დაასახელეს. 75 ქულის წყალობით მან თანაგუნდელებს - **მაიკ ბატისტეს** (67), **შარუნას იასიკიავიჩუსს** (35), **ნიკოლა პეკოვიჩსა** (23) და "ოლიმპიაკოსის" ცენტრ **იონას ბურუსისს** (53) გაუსწრო.

საბერძნეთში წლის მწვრთნელის ტიტული **ჟელკო ობრადოვიჩმა** მოიპოვა, რომელმაც "პანათინაიკოსს" ევროლიგა და ქვეყნის ჩემპიონატი მოაგებინა. სერბმა სპეციალისტმა დიდი უპირატესობით მოუგო "მარუსის" მთავარ მწვრთნელ **ანასტასიოს მარკოპულოსს**, რომელმაც ეს კლუბი არსებობის ისტორიაში პირველად ევროლიგაზე გაიყვანა.

სეზონის საუკეთესო ახალბედა კალათბურთელი გახდა "არისის" წევრი **კოსტას პაპანიკოლაუ**.

## რეალმა მეორე ლიტველი იყიდა

**კშიშტოფ ლავრინოვიჩის** შეძენის შემდეგ, მადრიდის "რეალმა" თითქმის მოაგვარა კიდევ ერთი ლიტველი კალათბურთელის **რიმანტას კაუკენასის** ტრანსფერის საკითხი. იტალიის "მონტეპასკის" მცველი უახლოეს დღეებში ესპანეთის დედაქალაქში გაივლის სამედიცინო შემოწმებას.

სავარაუდოდ, კაუკენასის წასვლის შემდეგ, "მონტეპასკი" შემტევი მცველის ვაკანტურ პოზიციას ამერიკელი **დევიდ ჰოკინსით** შეავსებს.

# ევრობასკეტის კონტურები

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სერჯო სკარიოლომ** ევროპის წლევანდელი ჩემპიონატისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.

მსოფლიოს ჩემპიონთა რიგებში 15 კალათბურთელი ირიცხება და მათ შორის მხოლოდ ოთხი ლეგიონერია: ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოთამაშე ძმები - **პაუ და მარკ გასოლები** ("ლეიკერსი" და "მემფისი"), **რუდი ფერნანდესი** ("პორტლენდი") და რუსეთის "ხიმკის" წევრი **ხორხე გარბახოსა**.

პირენეელთა სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მცველები** - რიკი რუბიო, რაულ ლოპესი, კარლოს კაბესასი, ხუან კარლოს ნავარო, რუდი ფერნანდესი, სერხიო იული, საულ ბლანკო;

**ფორვარდები** - ალექს მუმბრუ, ვიქტორ კლავერი, ბერნი როდრიგესი, ხორხე გარბახოსა, ხილემ რუბიო;

**ცენტრები** - პაუ გასოლი, მარკ გასოლი, ფელიპე რეიესი.

2009 წლის ევრობასკეტის ჯგუფურ ეტაპზე ესპანელეთა მეტოქეები იქნებიან ბრიტანეთი, სერბეთი და სლოვენია.

■ ■ ■

საბერძნეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას 21 ივლისს დაიწყებენ. ამისთვის ბერძნების ლიტველმა მწვრთნელმა **იონას კაზლაუსკასმა** შეკრებაზე 17 კალათბურთელი გამოიძახა: **პანაიოტის ვასილოპულოსი, ანდრეას გლინიადაკისი, დიმიტრის დიამანტიდისი, ნიკოს ცისისი, კოსტას კალიმაკოგლუ, ნიკ კალატესი, კოსტას კუფოსი, იანის ბურუსისი, გეორგიოს პრინტესისი, ტეო პაპალუკასი, სტრატოს პერპეროგლუ, ანტონის ფოცისი, იანის კალამპიკოსი, სოფოკლის შორცანიდისი, დიმიტრის ცალდარისი, ლუკას მავროკეფალიდისი, ვასილის სპანულისი.**



■ ■ ■

თურქეთის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში ცხრა კალათბურთელი ჰყავს წარმოდგენილი ქვეყნის ორ საუკეთესო გუნდს - "ეფეს პილსენსა" და "ფენერბაჰჩეს". თურქეთის რიგებში ვერ ვხედავთ "იუტა ჯაზის" ცენტრ **მეჰმეთ ოქურს**. კალათბურთელმა, რომელიც ორი წლის ესპანეთში ევრობასკეტზე თამაშობდა, ამჯერად უარი თქვა კონტინენტის პირველობაში გამოსვლაზე. სამაგიეროდ, გუნდში ვხედავთ NBA-ის წლევანდელი პლეი ოფის ერთ-ერთ გმირს, "ორლანდო მეჯიქის" ფორვარდ **ჰედო თურქოღლუს**.

თურქების წინასწარ სიაში შემდეგი კალათბურთელები შედიან: **ფათიჰ სოლაქი, ჩევერ უზერი, ბარიშ ჰერსექი, ენდერ არსლანი, ენგინ აჩური, ქერემ გიონლუმი, ქერემ თუნჩერი, სინან გიულერი, ოგიუშ სავაში, ოლმერ ასიქი, ოლმერ ონანი, სემიჰ ერდენი, ჩემალ ნალგა, ჰედო თურქოღლუ, ევრენ ბიუქერი, ერსან ილიასოვა, ბექირ იარინგიუმე.**

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **საკვალიფიკაციო** | |
| ჰიბერნიანსი-მოგრენი | 0:2 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამ კამი-მოსი | 1:0 |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| სიგმა-რუჟემბეროკი | 0:2 |
| გრასჰოპერსი-ომონია | 1:0 |
| ლინცერი-სპარტა | 0:1 |
| შტურმი-გრატკორნი | 6:0 |
| მატერსბურგი-სტ. პოლტენი | 2:2 |
| გიოტებორგი-ნორდსილანდი | 1:3 |
| აალსტი-ანდერლეხტი | 3:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **უიმბლდონი** | |
| **ქალები. 1/4 ფინალი** | |
| ვ. უილიამსი-ა. რადვანსკა | 6:1, 6:2 |
| საფინა-ლისიცკი | 6:7, 6:4, 6:1 |
| დემენტიევა-სკიავონე | 6:2, 6:2 |
| ს. უილიამსი-აზარენკა | 6:2, 6:3 |

TV პროგრამა

**1 ივლისი. ოთხშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:30** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლილი.
**09:20** ლიბერტადორესის თასი.
**10:10** არგენტინის ჩემპიონატი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-ბორდო.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** ლიბერტადორესის თასი.
**17:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ანორთოსისი-ინტერი.
**19:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:35** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:35** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი.
**22:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:45** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი.
**00:30** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ლივერპული-ატლეტიკო.
**02:30** გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ალკმაარი.
**04:15** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**04:45** ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნასიონალი (ურუგვაი)-ესტუდიანტესი (არგენტინა) (LIVE).

**EUROSPORT**

**10:30** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პოლონეთი.
**11:30** ველოსპორტი. Amstel Gold. ჰოლანდია.
**12:30** ველოსპორტი. ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი. ბელგია.
**14:00** ცურვა. ხმელთაშუაზღვის თამაშები. IV დღე. პესკარა. იტალია.
**15:00** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. ფინალი. ნიუპორტი.
**17:00** ცხენოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. კონკური. აახენი. გერმანია (LIVE).
**18:45** ველოსპორტი. ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი. ბელგია.
**19:30** ცურვა. ხმელთაშუაზღვის თამაშები. IV დღე. პესკარა. იტალია.
**20:00** ცურვა. ხმელთაშუაზღვის თამაშები. V დღე. პესკარა. იტალია (LIVE).
**22:00** ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
**22:30** მულტისპორტი.
**22:35** პოლო. აშშ.
**23:35** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**23:40** გოლფი. PGA-ის ტური.
**00:40** გოლფი. ევროპის ტური.
**01:10** გოლფ-კლუბი.
**01:15** აფროსნობა. მსოფლიო რეგატა Match Cup. ს. კორეა.
**01:45** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**02:05** ცურვა. ხმელთაშუაზღვის თამაშები. V დღე. პესკარა. იტალია.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
**13:00** ახალი ამბები.
**13:30** მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ლატვია.
**14:30** ახალი ამბები.
**15:00** სერფინგი. ბრაზილია.
**15:15** ახალი ამბები.
**15:45** სერფინგი. ბრაზილია.
**16:00** პლაჟის რაგბი. საჩვენებელი ტურნირი. მარსელი. საფრანგეთი.
**17:00** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XV ტური. ოიტა-კაშიმა.
**18:30** სერფინგი. ბრაზილია.
**18:45** ახალი ამბები.
**19:00** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პოლონეთი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:15** სერფინგი. ბრაზილია.
**20:30** ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.
**21:30** ახალი ამბები.
**21:45** უნივერსიადა 2009. ტელეჟურნალი.
**22:00** პრორესტლინგი.
**22:30** პროფესიული კრივი. WBA-ის ვერსია. ნახევრადმჩატე წონა. იურიორკის გამბოა (კუბა)-ხ. როხასი (ვენესუელა). აშშ.
**00:00** სერფინგი. ბრაზილია.
**00:15** ექსტრემალური სპორტი.
**01:00** ახალი ამბები.

რალი



# კიმი ფინეთის რალიში გამოვა

უნგრეთისა და ევროპის ეტაპებს შორის თითქმის ერთთვიანი შესვენების დროს, "ფერარის" ფინელი პილოტი **კიმი რაიკონენი** პირველად მიიღებს მონაწილეობას რალის მსოფლიოს ჩემპიონატში, კერძოდ, კიმი ფინეთის რალიში მოსინჯავს ძალებს. სამდღიანი ეტაპი ქალაქ იუვიასკიულას გარეუბანში გაიმართება.

რაიკონენმა უკვე დააგროვა რალიში გამოსვლის გამოცდილება: ზამთარში კიმი კარგად გამოვიდა ფინეთის ეროვნული ჩემპიონატის ორ ეტაპზე, მაისის ბოლოს კი იტალიურ Rally della Marca-ში ასპარეზობდა, თუმცა იქ ფინიშამდე ვერ მიაღწია.

ფინეთის რალიზე რაიკონენის პარტნიორი კვლავ **კაი ლინდსტრიომი** იქნება. ის და კიმი ცენტრალური ფინეთის ტყეებში კვლავ Fiat Abarth Grande Punto S2000-ით ირბოლებენ. ეს მანქანა რალიში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის **ტომი მიაკინენის** მიერ არის მომზადებული.

ფინეთის რალი ტრადიციულად შედის ავტორალიში მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში და ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ჩქაროსნულ ეტაპად ითვლება.

*"ეს ბრწყინვალე რბოლაა, რომელიც კიმისთვის ორმაგად საინტერესო იქნება, რადგან მას დებიუტი ექნება მსოფლიოს ჩემპიონატში*, - ამბობს ლინდსტრიომი. - *ფინეთის რალი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფია მსოფლიოში და მისი დისტანცია ორჯერ აღემატება ზამთრის Arctic Rally-ის დისტანციას. კიმის ნამდვილი ნიჭი აქვს და ის ნებისმიერი მანქანით წარმატებით გამოდის. და მაინც, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის ჯერ დამწყები რალისტია... თუმცა ვნახოთ, როგორი იქნება საბოლოო შედეგი"*.

ფინეთის რალი 31 ივლისს იღებს სტარტს.

კრივი

## ESPN-ის ნომინანტები

ამერიკულმა ტელეარხმა ESPN-მა წლის საუკეთესო მებრძოლის ტიტულისთვის ოთხი ნომინანტის ვინაობა გამოაცხადა.

ამ პრიზის მისაღებად პრეტენზიას აცხადებენ მოკრივეები - **მენი პაკიაო** (ფილიპინები), **შეინ მოზლი** (აშშ) და შერეული ორთაბრძოლების ორი წარმომადგენელი - **ანდერსონ სილვა** (ბრაზილია) და **ლიოტო მაშიდუ** (ბრაზილია).

გამარჯვებულს 19 ივლისს ვებგვერდ www.espys.tv-ის რეგისტრირებული მომხმარებლები გამოავლენენ.

ვარსკვლავები არენებს მიღმა

# კრაუჩი სარდინიაზე

## შეყვარებულები კლენსისთან ერთად...







# დაბადების დღეზე

**ბექჰემების** ოჯახმა Blue Bridge-ის რესტორანში დევიდის დედის **სანდრა ბექჰემის** 60 წლისთავი აღნიშნა.

მიწვეული სტუმრებიდან ყველაზე ბოლოს ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი და მისი მეუღლე **ვიქტორია** მივიდნენ. ისინი რესტორანში უკანა კარიდან შევიდნენ, რითაც ჟურნალისტებთან შეხვედრა აიცილეს თავიდან. ბექჰემებს თან ახლდათ სამი ვაჟი - 10 წლის **ბრუკლინი**, 6 წლის **რომეო** და 4 წლის **კრუზი**.

პირველი მისასალმებელი სიტყვა სანდრა ბექჰემს თავისმა ვაჟმა უთხრა. როგორც "დეილი მეილი" იტყობინება, მენიუ საკმაოდ მოკრძალებული იყო და ყველაზე ძვირი კერძი 20 ფუნტი ღირდა.

მალე დევიდსა და ვიქტორიას კიდევ ერთი წვეულება ელით. ისინი სეიშელის კუნძულებზე გაფრინდებიან, სადაც 10 დღით შეუკვეთეს აპარტამენტები ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, სადაც ქორწინების ათ წლისთავს იზეიმებენ.



ვიქტორიას და - ლუის ადამსი ბოიფრენდთან ერთად





ვიქტორიას მშობლები - ენტონი და ჯეკი ადამსები



იუბილარი - სანდრა ბექჰემი

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა,
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge